ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№39 (1548) 26–29 აპრილი, 1997 წელი

## თენგიზ კიტოვანი: ჯაბას და შევარდნაძეს ეგონათ, რომ ეროვნულ ძალებს ერთიანად გაანადგურებდნენ, მაგრამ...



*ჩვენმა „პოლიტიკურმა მიმომხილველმა" **თენგიზ კიტოვანმა** ორთაჭალის ციხიდან აპოკალიფსური ხასიათის წერილი გამოგვიგზავნა. ბატონი თენგიზი წერილში იმასაც დასძენს, რომ შევარდნაძეს თავისუფალი სიტყვის ეშინია და რომ ათასგვარ ხრიკებს მიმართავს მის აღსაკვეთად. ამ თეზისის უარსაყოფად ისიც გამოგვადგება, რომ ყოველგვარი გართულების გარეშე ქვეყნდება მისივე ქვემოთწარმოდგენილი წერილი...*

3

## შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი — ამუნათებს გამგებელი გლეხს...

სიღნაღის რაიონში გამომავალ გაზეთ „მერანში", რომლის მთავარი რედაქტორი თვით რაიონის გამგებელი ბატონი ვაჟა ცაბუტაშვილია, გამოქვეყნდა მასალა „ერთხელ კიდევ თავისუფლების მონუმენტის შესახებ". წერილი გვერდს უვლის განცხადებას, რომელიც თქვენს გაზეთშიც გამოქვეყნდა, რადგან უძლურია მის წინააღმდეგ, მაგრამ არც სამართლიან კრიტიკას სჯერდება. ამიტომ გამოსავალს დემაგოგიით ცდილობს. მავანნი ჭორაობენო, რომ თავისუფლების მონუმენტზე პენსიები უნდა დაიხარჯოსო, რაც არასწორიაო. იქვე გესლიანად ქირქილებს მათზე, ვინც ხუთი წლის წინ დროშებს აფრიალებდნენ. ქირქილებს და დასძენს, თავისუფლება ლომთა ხვედრიაო. ლომად, როგორც ჩანს, ყოფილი პარტმუშაკი თავის თავს წარმოიდგენს, ვინც დროშებს ვაფრიალებდით, ანუ ეროვნულ მოძრაობაში ვინც ვიყავით, ჩვენი ხვედრი ისევ მონობა ყოფილა.

დღემდე ვერ მივხვდით, რომ ბატონი ვცაბუტაშვილი „ლომი" იყო და თავისუფლებაც მხოლოდ მას ეკუთვნოდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, რაიონში სულ რაღაც ორი თვეა მოქმედმა რადიოსადგურმა „ათლეტმა" ვერ გაითვალისწინა გამგებლის „ლომობა" და მისი ნებართვის გარეშე გაუშვა ეთერში ბოდბისხეველი გლეხის საუბარი (სხვათაშორის, თვით „ლომიც" ბოდბისხეველია). საუბარი ეხებოდა საყოველთაოდ ცნობილ უკიდურეს გაჭირვებას, შრომის ანაზღაურების გაუცემლობას და სხვ. გლეხი გაკვირვებული ჰყვებოდა თვით ბატონ ვ.ცაბუტაშვილთან შეხვედრის შინაარსს. რადიოთი გლეხი აცხადებდა: გამგებელმა გვითხრა, თქვენ მონები ხართ, მე კი – ბატონიო; თქვენ უნდა გშიოდეთ, მე კი მაძღარი უნდა ვიყოო; ახლა ასეთი დროა, ათასი მონა უნდა იყოს და ერთი ბატონიო. გლეხი კითხვას სხვადასხვანაირად უტრიალებდა თურმე, მაგრამ გამგებლის პოზიცია ბოლომდე ერთგვაროვანი ყოფილა. თურმე მონების შიმშილით დახოცვაც ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა თუკი, ბატონი მაძღარი

3

## სამ დღეს ქუთაისი გვმართავს, ოთხს უტოვებს თბილისსა...

ჭიათურელთა ფოლკლორიდან

*ქალაქიდან გადახვეწილი ქურდები შუამავლებს გზავნიან — სააღდგომოდ ნათესავების საფლავებზე გასვლას ნუ დაგვიშლითო. შუამავლები კი საკმაო თანხას იჯიბავენ ხელშეუხებლობის გარანტიაში...*

ბოლო წლებში რამდენჯერმე გახლდით ჭიათურაში და ერთი შორეული პარალელი აკვიატებულად არ შორდებოდა ჩემს გონებას. მეცნიერებს უამრავი ჰიპოთეზა აქვთ, თუ რატომ ტოვებდნენ სამხრეთამერიკელი ინდიელები თავის ქალაქებს. როდესაც კოლონიზატორებმა ეს მხარე დაიპყრეს, ინდიელ ტომთა უმეტესობა ტყეში ცხოვრობდა და პრიმიტიულ მეურნეობას ეწეოდა, მათ აღარც კი ახსოვდათ ცივილიზაციის ის მაღალი დონე, რომელიც შექმნეს და რომელიც დღესაც აოცებს მნახველს. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ერთ დროს მჩქეფარე, ინდუსტრიული ქალაქის დღევანდელი ყოფა ინდიელთა მიტოვებულ ქალაქებს მაგონებს. თუმცა, ძველი ინერცია მაინც მოქმედებს, მოსახლეობის უმეტესობა არ ტოვებს ქალაქს და მეწვრილმანეობით ირჩენს თავს. ვინც ადრე ფული იშოვა, ახლაც შოულობს, რადგან ჭიათურის დარჩენილ სიმდიდრეს მიდგომია და ნახევრად ლეგალური, თუ სულაც უკანონო გზით ყიდის. სწორედ ამ ერთი მუჭა ხალხის მიერაა, რომ ბოლო წლებში „ჭიათურმანგანუმის" ხელმძღვანელობა ექვსჯერ შეიცვალა, ხოლო ქალაქს უკვე მეოთხე გამგებელი ჰყავს. ქალაქის ახლანდელმა მერმა, დავით კეკენაძემ, ეს მშვენივრად იცის და ყველა ზომას იღებს, რომ თავისი წინამორბედების ბედი არ გაიზიაროს. იგი წელიწადნახევარია, რაც ქალაქის მერად დაინიშნა. ჩამოსვლისთანავე სამოქალაქო თანხმობის ლოზუნგი გაშალა, მოადგილეებად კი ახალგაზრდები დანიშნა. ქალაქს ექვსი ვიცე-მერი ჰყავს, რომლებიც ინფრასტრუქტურის სხვადასხვა დარგებს მეთაურობენ. როგორც ბატონი დავითი ამბობს, სანამ თავის შემუშავებულ გეგმას ჭიათურის აღორძინების შესახებ თავს არ დაადგამს, არსად წამსვლელი არაა. „თანამოქალაქეების თვალებში შეხედვა არ უნდა მრცხვენოდეს და მამის საფლავზე უნდა მიმესვლებოდეს", – მითხრა მან. ქალაქის განვითარების გეგმა მან ედუარდ შევარდნაძეს წარუდგინა და პრეზიდენტისაგან მოწონება დაიმსახურა. გეგმაში მითითებულია, თუ როგორ უნდა მოხდეს „ჭიათურმანგანუმის" რესტრუქტურიზაცია და დაწვრილებითაა მიმოხილული ჭიათურის რაიონში არსებული სხვა სიმძლავრეები, დაწყებული ბაზალტისა და მარმარილოს საბადოებიდან, დამთავრებული ჩაისა და მეცხოველეობა-მეფრინველეობის განვითარებით. ქალაქის მერი ფიქრობს, რომ სალიეთის სილა შეიძლება ადგილზე დამუშავდეს და იქვე აშენდეს მინის ქარხ-

4



## კახა თარგამაძე: ვერ გამიგია, რა უნდათ, სახელმწიფო რომ დაგვექცეს?

საუბრობენ შინაგან საქმეთა მინისტრი **კახა თარგამაძე** და გაზეთ „საქართველოს" მთავარი რედაქტორი **ნოდარ გრიგალაშვილი**



**ნ.გ.** – *ბ-ნო კახა, გამოქვეყნდა სენსაციური განცხადება სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. განცხადების მიხედვით, ტერაქტში ბრალდება მოხსნილი აქვს ჯ.იოსელიანს და იგორ გიორგაძეს. თქვენი კომენტარი ამ განცხადების შესახებ.*

**კ.თ.** – მე არასერიოზულად მიმაჩნია განცხადებებით ამ თემაზე საუბარი, რომელი პარტიაც არ უნდა აწერდეს მას ხელს. სხვათაშორის, სოციალ-დემოკრატები აღნიშნავენ იმავე განცხადებაში, თითქოს ჩამოყალიბდა მათ მიერ საგამომძიებო ჯგუფი, რომელშიც ჩართული იყვნენ ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლები, რომ ისინი სხვადასხვა გზით მოპოვებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე აწვდიდნენ ინფორმაციას პარტიას და პარტია დარწმუნდა იმაში, თითქოსდა ტერაქტში ჯ.იოსელიანისა და ი.გიორგაძის მონაწილეობას ადგილი არ ჰქონია. ამჟამად, ალბათ, პროკურატურა მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ამ განცხადების ავტორებთან დაკავშირებით. კანონით ასეა: ნებისმიერი საკითხი თუკი ცნობილი გახდა ნებისმიერი პიროვნებისათვის დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი მისთვის ცნობილი, დამალვისა და დაფარვის შემთხვევაში, საქმე გვაქვს სისხლის სამართ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №30,31,32,33,34,35,36,37,38.

2

# ვინ ვინ არის?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მკვლევარისათვის

## კახა თარგამაძე:

# ვერ გამიგია, რა უნდათ, სახელმწიფო რომ დაგვექცეს?

პირველი გვერდიდან

ლის დანაშაულთან. ამრიგად, მათ უნდა წარადგინონ მათი მონაცემები პროკურატურაში. ეს ერთი...

**ნ.ზ.** – *უკაცრავად, ჩაგერთევი. მაშასადამე, თუ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გააჩნია რაიმე ინფორმაცია, რომელიც თქვენთვის ცნობილი არ არის, ან ვთქვათ, თქვენთვის ცნობილია და თქვენ მალავთ, ხოლო ეს არ დამალა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, თუმცა, მასალები არ გადმოგცათ თქვენ და საჯაროდ პრესაში გამოაქვეყნა, ასეთ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ის ჯგუფი, ვინც ამ საქმეს იძიებს, დასასჯელია კანონის მიხედვით?*

**კ.თ.** – დავაზუსტოთ ისინი პრესაში აქვეყნებენ არა მასალებს, არამედ მშრალ განცხადებას. რაკი ამბობენ, რომ გააჩნიათ მასალა შესაბამისი მტკიცებულებებით და ამას მალავენ, რა თქმა უნდა, ის ჯგუფი დასასჯელია. მე უფრო მეტს გეტყვით, კანონი ითვალისწინებს შემდეგს: როდესაც პიროვნებისთვის რაღაც დანაშაულებრივი ფაქტები არის ცნობილი და პიროვნება ამ ფაქტს მალავს და ამბობს, ამას ვერ გავამხელო, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, რაც გამოიხატება დანაშაულის დაფარვით. ეს ერთი, და რაც მთავარია, მე ასეთი გზით მოპოვებული ინფორმაციები რაღაც არასერიოზულად მეჩვენება. ალბათ, სამართლებრივი სახე მიეცემა ამ ფაქტს. საერთოდ კი, მე მინდა განვაცხადო სრული პასუხისმგებლობით: ტერაქტთან დაკავშირებით იმდენად შეზღუდული წრე მუშაობდა, რომ თვით მინისტრის მოადგილეებმა და სხვა თანამდებობის პირებმა არ იცოდნენ, რა კეთდებოდა და რა მიმართულებით მიდიოდა მუშაობა. ასე რომ, მათ რომ ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლები ჩართეს ძიებაში და ინფორმაციები მიიღეს, მე მაეჭვებს. საერთოდ, მე ვფიქრობ, ბ-ნო ნოდარ, რომ ეს განცხადება ჰგავს იმის წინაპირობას, რომ ვილაც პიროვნებები დაიხსნან პასუხისმგებლობისაგან და ეს იმ დროს, როდესაც უკვე მოახლოებულია სასამართლო პროცესი. გარდა ამისა, საქმეს ყურმოკრული ამბებით ვერ დაადგენ, ეს გამორიცხულია.

**ნ.ზ.** – *განცხადებაში მრავალმნიშვნელოვნად ისიც წერია, რომ პრეზიდენტმა უკვე იცის, თუ სინამდვილეში ვინ მოაწყო ტერაქტი...*

**კ.თ.** – რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა იცის ვინ მოაწყო ტერაქტი, მაგრამ სინამდვილე იცის არა განცხადების ავტორთაგან, არამედ იმათგან, რომლებიც მუშაობდნენ კონკრეტულ საქმეებზე.

**ნ.ზ.** – *ასე რომ, თუ სოციალ-დემოკრატები არ წარმოადგენენ თავიანთ მტკიცებულებებს...*

**კ.თ.** – და ინფორმაციების მოპოვების წყაროებს...

**ნ.ზ.** – *თქვენ შეგიძლიათ საქმე აღძრათ მათ წინააღმდეგ?*

**კ.თ.** – რა თქმა უნდა, პროკურატურამ უნდა აღძრას კიდეც, თუ განცხადების ავტორთათვის ცნობილია დანაშაულებრივი ფაქტი და არ ამბობენ. ასეთი შემთხვევისათვის კოდექსი ითვალისწინებს სერიოზულ პასუხისმგებლობას.

**ნ.ზ.** – *ისევ სოციალისტებს უკავშირდება საქმე, ოღონდ ამჯერად არა სოციალ-დემოკრატებს, მათ მონათესავე სოციალისტურ პარტიას. პრესაში მეორე განცხადებაც გამოქვეყნდა, გავრცელებული სააგენტოების მიერ. ამ განცხადების მიხედვით ტერაქტის მონაწილეები მომავალ პრეზიდენტად თითქოს გულისხმობდნენ იმჟამინდელი პარლამენტის სპიკერს ვახტანგ გოგუაძეს. ეს ვერსია კი, როგორც განცხადების ავტორები გვაცნობენ, გავრცელებული იქნა იმჟამინდელი ვიცე-სპიკერის მიერ. გვარს არ წერენ, მაგრამ ისე ხდება, როგორც ერთ მახვილგონიერულ სიუჟეტშია – გვარს არ დაგასახელებ, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე ვლაპარაკობო. მოკლედ, გულისხმობენ ვახტანგ რჩეულიშვილს, რომელსაც, ავტორთა აზრით, სურდა რა გოგუაძის დისკრედიტაცია, მისი თანამდებობიდან მოშორება და მისი პოსტის დაკავება, გაავრცელა ხმა, თითქოს ტერორისტებს გოგუაძე სურდათ პრეზიდენტად. ამით განხეთქილების ვაშლი გააგორა შევარდნაძესა და გოგუაძეს შორის. მაგრამ, როგორც განცხადებაში წერია, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ვინაიდან პრეზიდენტი მას არ ენდო და პარლამენტს სხვა თავმჯდომარე მოევლინა. თუ გაქვთ ეს განცხადება წაკითხული?*

**კ.თ.** – დიახ, ეს განცხადება წაკითხული მაქვს და გაოცდი კიდეც, ასეთი დასკვნების გაკეთება რის საფუძველზე შეიძლება? სხვათაშორის, ბ-ნ ვახტანგ გოგუაძის შესახებაც პირველად გავიგე, თითქოსდა ის ყოფილიყო მონაწილე რაიმე უკანონო ქმედებისა. პირდაპირ გაოცდი, როდესაც ვგოგუაძეზე ითქვა, ის უნდა ყოფილიყო პრეზიდენტიო. მე, სხვათაშორის, ჩემს წინა საუბრის დროს აღვნიშნე, რომ ოგევმებოდა გარკვეულ პირებთან, და მათ შორის პარლამენტის წევრებიც კი იყვნენ, ალიანსის საკითხი, მაგრამ ვახტანგ გოგუაძის სახელი იქ ნახსენები არ ყოფილა. მე ვფიქრობ, გოგუაძე ის კაცი არ არის, რომ ეს საკითხი გაენდოთ და დაეყენებინათ მის წინაშე.

**ნ.ზ.** – *ბატონი ვახტანგი ტერორისტებთან, ცხადია, საქმეს არ დაიჭერდა. მე გეთანხმებით, რომ გოგუაძე არ არის ის კაცი, რომელიც, ასე ვთქვათ, ამ „გაუგებრობაში“ გაერეოდა, მაგრამ ეს ინფორმაცია-რაღაც ფაქტებს ეყრდნობა. კერძოდ, თქვენ შეიძლება არ გქონდათ ამის შესახებ მონაცემები, მაგრამ პირადად გოგუაძისგან ვიცი, როდესაც ტერაქტი მოხდა, ზოგიერთები მართლა ცდილობდნენ მასზე მიეთითებინათ და პრეზიდენტის თვალში მისი დისკრედიტაცია მოეხდინათ, თითქოსდა ტერაქტის მონაწილეებს მისი პრეზიდენტობა სურდათ. ერთი სიტყვით, იმთავითვე იყო ამაზე ლაპარაკი ძალიან ვიწრო წრეში და თვით გოგუაძისთვისაც ეს ჭორი ცნობილი გახდა. ეს ხმა ხომ საიდანღაც უნდა წამოსულიყო. ამ განცხადებაში კი აი ამ ხმების ავტორია გაშიფრული.*

**კ.თ.** – იცით, სიმართლე გითხრათ, ჭორების გამავრცელებელზე არ გვიმუშავია. ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო მძიმე დანაშაულის გახსნაზე ვმუშაობდით.

**ნ.ზ.** – *ბ-ნო კახა, მე ამ საკითხს ისევ დავუბრუნდები. ბუნებრივია, თქვენ ჭორებს ვერც აყვებით და არც უნდა აყვეთ. მაგრამ ამ ერთი შეხედვით არასერიოზულ საკითხზე ვაჩერებ ყურადღებას ერთი მომენტის გამო. ამ ჭორებს პიროვნების, პოლიტიკური ფიგურის ბედის შეცვლა შეეძლო (თუ არ შეცვალა) სალი აზრის არდახვედრის შემთხვევაში.*



**კ.თ.** – რა ვქნა, ბატონო ნოდარ, რამდენი ჭორებიც დადის ქალაქში, მათი უკან დევნა და მოკვლევა შეუძლებელია...

საერთოდ კი, უნდა მოხდეს განცხადების შემოწმება, იყო თუ არა მართლა ასეთი ჭორი, საიდან მომდინარეობდა ეს ჭორი და შეესაბამება თუ არა ეს ყველაფერი რეალობას. რაღაც კონკრეტულ მოქმედებებზე უნდა იყოს საუბარი, თორემ ზოგადად ჭორის დევნა, რა თქმა უნდა, არასერიოზული იქნება...

**ნ.ზ.** – *ასე რომ, თქვენ არა გაქვთ განცხადება, მაგრამ თუკი ვ.გოგუაძე ოფიციალურად შემოვა განცხადებით, რომ მისი მისამართით მოხდა ცილისწამება კონკრეტული პირის ან პირების მიერ...*

**კ.თ.** – რა თქმა უნდა, გამოძიებული იქნება საქმე...

**ნ.ზ.** – *თუკი მოვლენები ასე განვითარდა, შესაძლებელია, ძალიან მარტივად გადაწყდეს სოციალისტური პარტიების ლიდერთა, რბილად რომ ვთქვათ, ყურის აწევის პრობლემა.*

**კ.თ.** – მაგ ლოგიკით კი, ბატონო, შესაძლებელია. კოდექსის 65-ე მუხლი (სამშობლოს ღალატი), 70 მუხლი (მავნებლობა), 73-ე (ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციების შექმნა და ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა), 78-ე (ბანდიტიზმი). ამ მუხლებით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობაზეა ლაპარაკი და დასჯადია, აბა, არ იქნება დასჯადი?

**ნ.ზ.** – *ეს გასაგებია, მაგრამ არსებობს დამოუკიდებელი ჟურნალისტური ძიება, თუ კაცმა, ვთქვათ, უნდობლობა გამოუცხადა სამართალდამცავ ორგანოებს, დამოუკიდებლად დაიწყო ძიება ამა თუ იმ საქმისა და მოიძია გარკვეული მასალა. ასეთ შემთხვევაში დასჯილი რატომ უნდა იყოს?..*

**კ.თ.** – კი მაგრამ, მოძიებულ მასალას თუ გაასაიდუმლოებს და ფაქტებს, რომელიც იცის, არ გაამჟღავნებს, ეს დანაშაულის დაფარვად არ ჩაითვლება?

მე ვფიქრობ, ბატონო ნოდარ, რომ ხსენებული განცხადება და სხვა წერილები თუ განცხადებები ამ ბოლო ხანებში შემთხვევითი არ არის. ხელოვნურად აეჭვებენ საზოგადოებას სასამართლოს დაწყების წინა პროცესში, რათა საზოგადოებრივი აზრი შეიქმნას დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების სასარგებლოდ. ცხადია, არ არის სასურველი, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ, მაგრამ ყველაფერ ამას პროკურატურა დაადგენს. საქმე კი იმაშია, რომ ამასწინანდელ სასამართლო პროცესზე თედიაშვილის განცხადებით ბევრი რომ გახდა ცნობილი, მომავალ შაბათს უფრო მეტი გახდება, ალბათ, მთელი საზოგადოებისათვის ცნობილი. მრავალ ფაქტებს, აღიარებებს, ჩვენებებს, მტკიცებულებებს რატომღაც უყრუებენ. მე კი ყოველ სიტყვას აფთიაქარის სასწორზე მიწონიან. ახლა იმაში დამდეს ბრალი, თითქოს თქვენთან საუბარში განვაცხადე, „მხედრიონი“ ციხიდან არ უნდა გამოვიდეს-მეთქი.

მე ვთქვი და ვიმეორებ, არა საერთოდ „მხედრიონზე“, არამედ დამნაშავეებზე. თუ მძიმე დამნაშავეები სასჯელს არ მოიხდიან და გარეთ სასჯელმოუხდელნი გამოვლენ, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო დაქცეულია-მეთქი.

ვერ გამიგია, რა უნდათ ოპონენტებს, სახელმწიფო რომ დაგვექცეს?

**ნ.ზ.** – *პატიოსნად გეთანხმებით, რომ არაკორექტული და არასამართლებრივი ამ დეტალთან დაკავშირებით არაფერი თქმულა, აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და გავასწორებ ერთ შეცდომას, რომელიც ჩვენი საუბრის ჩანაწერის გამშიფრავმა, რედაქციის ტექნიკურმა მუშაკმა, სამწუხაროდ, არასწორად გადმოიტანა ქაღალდზე. წინა ნომერში გამოქვეყნებულ ჩვენს დიალოგში აღნიშნული იყო, რომ გოგოტიშვილი დააპატიმრეს კვეზერელის ბინაში.*

**კ.თ.** – კი, ეგ თქვენი შეცდომაა, გოგოტიშვილი კვეზერელის ბინაში არ აუყვანიათ. მე დაგისახელეთ გვარიც და სოფელიც კახეთში, ვის ბინაშიც ის დააკავეს.

**ნ.ზ.** – *ბატონო კახა, წინა საუბარში უკმაყოფილო დავრჩი ერთი კითხვის გამო.*

*მოგახსენეთ, რომ კვეზერელმა, როგორც მეუბნებიან, დააკავა ბესიკ კვეზერელის (მისი ძმაა), ღლონტის და კობერიძის მკვლელები, პოლიციის მუშაკები, და რომ მკვლელები გაუშვეს?!*

*ამ კითხვაზე პასუხი ფაქტობრივად ვერ მივიღე.*

**კ.თ.** – მე მეეჭვება, რომ დაკავებული მკვლელები ასე გაეშვათ. მართალი გითხრათ, ყველა საქმის, და ეს საქმეები ათასობითაა, კურსში არ ვარ და არც შეიძლება ვიყო. ეგ ძველი საქმეებია, რომელიც მემკვიდრეობით დამხვდა. სხვათაშორის, მაგ კითხვას პროკურატურაში გამართული პრესკონფერენციის დროსაც თვითონ პროკურატურამ ვერ გასცა პასუხი.

მე ამ საკითხს თქვენი კითხვის საფუძველზე შევისწავლი და პასუხს გაგცემთ. საზოგადოებისათვის არაფერი არ უნდა დარჩეს დასაეჭვებელი და მიჩუმათებული, მით უფრო, როცა საქმე ასეთ მძიმე საკითხს ეხება.

გაგრძელება იქნება

## „ვინც ჩემი ერთგულები იყვნენ, შესაძლოა რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის გზას გაუყვნენ“

გუშინ, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, საქართველოს პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ უკმაყოფილება გამოთქვა ფოთის მერის ნუგზარ ნადარაიასა და ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის უფროსის ვ.გეგიძის მუშაობასთან დაკავშირებით. კერძოდ, პრეზიდენტმა განაცხადა: „ფოთი, თავისი ინფრასტრუქტურით საქართველოს კარიბჭეა, თუმცა, მისი განვითარება სათანადო დონეზე არ ხდება. მიუხედავად ნ.ნადარაიას ერთგულებისა, მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ფოთის ხელმძღვანელობა უნდა შეიცვალოს“. რაც შეეხება პორტის მუშაობას, ე.შევარდნაძემ აღნიშნა, რომ „ფოთის სავაჭრო ნავსადგურში ინიციატივა არ შეიმჩნევა“.

პრეზიდენტმა სერიოზული პრეტენზიები წაუყენა ფინანსთა მინისტრს დ.იაკობიძეს. მისი თქმით, ფინანსთა მინისტრმა ბევრი რამ გააკეთა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. ამასთან, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა – „არ უნდა დაგვავიწყდეს ის ტანჯვა-წამება, რაც 1997 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის პარლამენტში წარდგენასთან იყო დაკავშირებული. იმ დღეებში, როდესაც იაკობიძე საქართველოს სჭირდებოდა, იგი ორი კვირით აშშ-ში იმყოფებოდა. ჩვენ დავითთან ერთად უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ მოვიქცეთ“. მისივე თქმით, პასუხისმგებელი პირები, მიუხედავად მაღალი კვალიფიკაციისა, მომთხოვნები და კარგი ორგანიზატორები უნდა იყვნენ. „მთელი უბედურება იმაშია, რომ მუშაობის პერიოდში ჩვენ ვეჩვევით ერთმანეთს და გვიძნელდება განშორება. ამასთან, გვავიწყდება, რომ სახელმწიფო ინტერესები ყველაზე მაღლა უნდა იდგეს“, – განაცხადა ე.შევარდნაძემ.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავარი ამოცანა კორუმპირებული ჩინოვნიკების მოშორებაა. „ყოფილი მინისტრთა კაბინეტის საქმესთან დაკავშირებით გენერალურმა პროკურორმა წარმოადგინა მასალათა პაკეტი. მე არ ვიცი, რა ეყუო მას, რადგან ის ხალხი, ვინც ჩემი ერთგულები იყვნენ, შესაძლოა რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის, რემი ვაშაკიძის გზას გაუყვნენ“ – განაცხადა ე.შევარდნაძემ. (იპრინდა)

# თენგიზ კიტოვანი: ჯაბას და შევარდნაძეს ეგონათ, რომ ეროვნულ ძალებს ერთიანად გაანადგურებდნენ, მაგრამ...

პირველი გვერდიდან

ჩემს ერთ-ერთ ინტერვიუში რამოდენიმე წლის უკან მქონდა ნათქვამი, რომ, თუ ადრე აღმოსავლეთ ქვეყნებიდან იწყებოდა ომები ან პოლიტიკის მართვა, დღეს ეს მთლიანად შეიცვალა მსოფლიო სამხედრო დოქტრინებით. ხდება მსოფლიო სფეროების ახალი განაწილება, აქ დასავლეთ ქვეყნების გავლენის სფერო უფრო ფართოვდება აღმოსავლეთ ქვეყნებისაკენ. მე და ჩემი მეგობარი ცხონებული ფისუნი ამ საკითხზე ვმუშაობდით. რამ გამოიწვია ნატოს გაფართოება აღმოსავლეთ ქვეყნებისკენ და როგორც მოველოდით, თურქეთის მონდომებამ, რომ კავკასია გამხდარიყო თურქეთის გავლენის ქვეშ, ეს საკითხი რუსებმა ელცინისა და ქლინტონის შეხვედრისას პირიდან გამოაცალეს თურქებს. ელცინმა გარკვევით თქვა შეხვედრის შემდეგ, რომ რუსეთის გავლენის სფეროში შემოდიან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები. ამით ყველას აგრძნობინა, რომ იგი არავის დაუთმობს ამ გავლენის სფეროს და იმიტომ იყო, ანკარასა და ვაშინგტონს შორის გაირბინა შავმა კატამ. თურქები განაწყენებულნი დარჩნენ ვაშინგტონის კაპიტულანტურ პოლიტიკისადმი კავკასიისადმი მიმართებაში. ეს ჩვენი საგარეო პოლიტიკა მოექცა ჩიხში. დარჩა კომპასის გარეშე, შევარდნაძემ ახლა საით აიღოს მიმართულება აღარ იცის, იმიტომ, რომ, როცა იგი შეხვდა ელცინს, მისი პოლიტიკური მდგომარეობა საკმაოდ უმწეოდ გამოიყურებოდა. ვერც ვაჟა ლორთქიფანიძის დასწრებამ ამ შეხვედრაზე ედუარდს ხასიათი ვერ გამოუსწორა. ჩემის აზრით, ელცინმა პირდაპირ დაუსვა საკითხი შევარდნაძეს და შესთავაზა ბელორუსის ვარიანტი. ეს ის ვარიანტია, რისთვისაც შევარდნაძე ჩამოსულია საქართველოში. ასრულებს იმ მისიას, რაც დაავალეს რუსებმა. პირველი ეტაპი შევარდნაძემ შეასრულა, აფხაზეთი ჩააბარა და СНГ-ში შეიყვანა. ახლა იწყება მეორე ვარიანტი: საქართველოს ინტეგრირება რუსეთის სფეროში და რა ფორმით უნდა მიაღწიოს შევარდნაძემ ამას სუყველაფერს? რასაკვირველია, ხალხი დაამშიოს ბოლომდე, დააშინოს და იძულებული გახადოს მოსახლეობა, რომ წავიდნენ ყველაფერზე, ოღონდ ცოცხლები დარჩნენ. ვინც გაასწრო საქართველოდან, ის ბედნიერია დღეს. თვითონ შევარდნაძემ მიხედა თავის კორუმპირებულ მთავრობას, რომლებმაც მთლიანად გაინაწილეს საქართველოს სიმდიდრე. ეს არის მაგის ნათესაური კლანი, რომელიც ფაქტიურად ეკონომიურად მართავენ საქართველოს და ეს ვითომ არ იცის ბარამიძემ? ვინ ვის უკან დგას, დღეს პატარა ბავშვმაც იცის, რომ შევარდნაძის კლანი სკდება სიმდიდრით და დანარჩენი მოსახლეობა მშიერია. მე რასაც ვწერ, ამაზე ვაგებ პასუხს. ეხლა ცოტა გადახვევა მომიწია, მაგრამ ყველაფერი ეს არის ერთი მეორეზე გადაბმული, ეს ის პოლიტიკაა, რაც შევარდნაძემ ჩამოსვლისთანავე ბანკები გაცალა და ის ჩადო, საკუთარი ხალხის დამონება კუჭის მეშვეობით. აქ ძველმა კომუნისტურმა მეთოდმა იმუშავა და მიაღწია კიდევაც გარკვეულ მიზანს. ეს შევარდნაძის ეკონომიკურ მხარეს რაღაც არავითარი გამართლება არ აქვს და არავითარი გამოცოცხლება არ იგრძნობა. პირიქით, შევარდნაძემ ის შექმნა, რომ დოლარი გააფასურა ლართან მიმართებაში, რაც ჩვენი „მეგობრების“ წყენა დაიმსახურა. ეს ხდება ყველაფერი ძალდატანებით და პოლიტიკური რეჟიმით, რათა ქვეყანაში ინფლაცია არ მოხდეს დღეს ხალხის ძარცვაზე დგას დღეს ჩვენი ეკონომიკა. და ქვეყანას იმდენი ვალი დაუგროვდა, რომ მისი გადამხდელი საქართველო კარგი ხანი ვერ იქნება. აქაც მას თავისი ნათესაური კლანი ყავს შერეული, რომლებიც აკონტროლებენ ინვესტიციებს, ხაბეიშვილი მაგ საქმეს შეეწირა. მე ამას მოკლედ იმიტომ ვწერ, რომ დღეს ჩვენი მოსახლეობისთვის გასაგები იყოს, საით წაგვიყვანა შევარდნაძის პოლიტიკამ. დაკარგული მიწები, მშიერი მოსახლეობა, ამას მივაღწიეთ 5 წლის განმავლობაში. ხვალ კიდევ უარესი გველის, დანაპირებს უეჭველი შეუსრულებს ელცინს. მერე რა ვქნათ, რაღა გვრჩება. თუ ჩვენ წინააღმდეგობა არ გაუწიეთ, ან ხმა არ ამოვიღეთ, ყველაზე დიდი საშინელება წინ გვაქვს. იმის დროც არ გვრჩება, რომ ვარკვიოთ ერთმანეთში ურთიერთობა, ხომ ატყობთ ამ კაცს როგორ ეშინია სიმართლის, როგორ ეშინია მიტინგების. რა ხრიკებს არ ხმარობს, რომ მას სიმართლე არ უთხრან ქუჩიდან, გაზეთიდან. აქ ტელევიზიაზე ლაპარაკი ზედმეტია, მე კი ვიძახი, რომ შევარდნაძე შეასრულებს რუსეთის დავალებას და აქედან გაუჩინარდება. თავის ნავთობის საქმე ჩააწყო, აქ კაზახისტანის ნავთობზეც ვლაპარაკობ, ბაქოს ნავთობი საქართველოზე არ გაივლის და ვინც ამას იძახის, ის მატყუარაა და ხალხს ატყუებს. ვერც ალიევი და ვერც კუჩმა ამ საკითხს ვერ გადაწყვიტავენ რუსეთის გარეშე, ან რა აზრი აქვს, რუსეთზე გავლით უფრო ახლოა ბაქოს ნავთობი უკრაინასთან.

მოკლედ, ისე გამოდის, რაც მე შევარდნაძეს პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ვუთხარი: „შენი სახელის ხსენებაზე საქართველოში, ბატონო ედუარდ, შეიძლება ჩაგხადონ და გიხმარონ-მეთქი“. დღეს ეს დღე დადგა. ედუარდის ხსენებაზე შეიძლება მოსახლეობამ ჩაქოლოს, მერე მე მომდგებიან ხოლმე და მეუბნებიან, შენი ჩამოყვანილი არ არისო? მე ჯაბასკენ მოუთითებ, ჯაბამ თავის მახრჩობელა ჩამოიყვანა. ჯაბას და შევარდნაძეს ეგონათ, რომ ეროვნულ ძალებს ერთიანად გაანადგურებდნენ, მაგრამ შევარდნაძემ ჯერ ჯაბა მოსპო და პოლიციური რეჟიმით საკუთარი ხალხის მოსპობა უნდა. როგორც ამას წინათ გადმოიხედა ფანჯრიდან და დაინახა ლტოლვილები, გაიკვირვა, ესენი კიდევ ცოცხლები არიანო. როგორც ვწერდი ადრე მან დააპირისპირა ლტოლვილები და თბილისელები, მაგის მეთოდით ხდება ყველაფერი, მოსახლეობა თავის საკუთარ სამშობლოში ლტოლვილები გახადა. მარტო აფხაზები არა ქართველებიც: 35 ათასი ქართლელი ახლა ჯავახეთიდან გაგვიჩნდება ლტოლვილები სულ ცოტა ხანში, სომხები ჯავახეთს წაიღებენ შევარდნაძის ხელში. გამოფხიზლდით ჩემო მეგობრებო, ნუ გშინავთ, ნუ გეშინიათ, თორემ საქართველო აღარ იარსებებს შევარდნაძის ხელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## «საქართველოს დაჩოქებას ვერავინ შეძლებს»

მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ განაცხადა, რომ გარკვეული ძალები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, იმედოვნებენ, რომ ამა თუ იმ რაიონში დესტაბილიზაციით საქართველოს დააჩოქებენ. „მე წავიკითხე ერთ-ერთი ქართველი პოლიტიკოსის განცხადება, რომელიც ეყრდნობა რა ჩემი და ჰეიდარ ალიევის მეგობრობას, აზერბაიჯანისაგან საინგილოს დაბრუნებას თხოულობს და არ სურს იმაზე ფიქრი, თუ რა შედეგები შეიძლება ამას მოჰყვეს. მე არავის მივცემ ცეცხლთან თამაშის უფლებას და ამ ხალხმა პირველ რიგში სამშობლოზე უნდა იფიქრონ, შემდეგ კი თავიანთ ამბიციებზე“. (იფრინდა)

## დაგეგმილია ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი სომხეთში

2-3 მაისს დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი სომხეთში. როგორც BGI-ის კორესპონდენტს დსთ-ს ქვეყნების საკითხთა ბიუროს ხელმძღვანელმა თემურ მოსიაშვილმა აცნობა, ხელმოწერილი იქნება რიგი ორმხრივი დოკუმენტებისა და განიხილება ქართულ-სომხური თანამშრომლობის საკითხები.

# შენ პირველი ხარ და მე მეტყველი — ეუბნება გამგებელი გლეხს...

პირველი გვერდიდან

იქნებოდა.

კაცმა რომ თქვას, რასაც რაიონის ხელმძღვანელობა აკეთებს საკუთარი კრიტიკისათვის უნებურად და არა თვითკრიტიკით, ეს გადაცემა იმასთან არაფერიც არ არის. მაგალითად, რაიონში პროკლამაციები გაავრცელეს, შემდეგ გამგებლის ჯიბის გაზეთშიც გამოაქვეყნეს, სადაც რაიონის მოსახლეობას და პენსიონერებს გულუბრყვილოდ უხსნიდნენ, გაგებით მოკიდებოდნენ ხუთი თვის მანძილზე ხელფასების და პენსიების გაუცემლობას. ჰპირდებოდნენ, მალე ღვინოს გაჰყიდით და დაგირიგებთ ხელფასებს და პენსიებსო.

ღვინოს როდის გაჰყიდიდნენ, ზუსტად არ ჩანდა მიმართვაში, ამიტომ ავმა ენებმა და ჭორიკნებმა ხმა გაავრცელეს - ჯერ ბატონ გამგებლის სადღეგრძელოები არ შემოლევია, როცა სადღეგრძელოები შემოაკლდება და ქეიფის ხასიათიც დაეკარგება, დარჩენილ ღვინოს რას უზამს? გაყიდის და შიმშილით დაოსებულ ხალხსაც ეშველებაო, ეს კი, ღმერთმა უწყის, როდის იქნებაო.

ჩვენ თუ გვკითხავთ, მიმართვა უფრო სამარცხვინოა რაიონის გამგებლისათვის, ვიდრე უბრალო გლეხთან მისი საუბრის რადიომასალა, მაგრამ „ლომი“ რის „ლომია“, თუ რაზეც თვითონ უნდა, იმაზე არ განსრისხდება როგორ გაბედა პატარა რადიომ ჩემს დაუკითხავად გადასცა მასალაო. პოლიცია გააგზავნა თვით ასოციაცია „ათლეტის“ პრეზიდენტის დასაჭერად. ხოლო რადიოსადგურს მაკრატლით ელექტროსადენები გადაუჭრა. რედაქციის ახალგაზრდა მუშაკებმა ჩართეს გენერატორი, მაინც გავიდნენ ეთერში და თავიანთი გაჭირვება ამცნეს მსმენელებს. პოლიციით ალყაშემორტყმულების დასახმარებლად ახლომახლო სოფლის მოსახლეობა ერთგულად დაიძრა. იქაურობას გარს შემოერტყნენ და ასე გამოხატეს თანადგომა თავისუფალი ინფორმაციით დამშეულმა ადამიანებმა.

აღნიშნული ინციდენტის შესწავლა, როგორც ვიცით, თვით ქვეყნის პრეზიდენტის დონეზე ხდება, ამდენად, მოვლენების წინ გასწრება არ ვგების.

ერთი რამ კი უნდა აღინიშნოს, რაიონის გამგებელმა ასოციაცია „ათლეტის“ ფინანსური შემოწმება დაავალა, ვისაც ჯერ არს. ეს ნაცადი ხერხია შურისძიების. აბა, რა ეგონათ. მარტო ელსადენების გადაჭრაზე ხომ არ გადაატარებდა მათ.

თვითონ რომ არაფერს ჰქმნიან და სახელმწიფოს, ბიუჯეტის თანხებს ანიავებენ, ეს ნორმალურად მიაჩნიათ, არასახელმწიფო დაწესებულებაზე კი ზრუნავენ, არასწორად არ დახარჯონ თანხებიო.

დავუბრუნდეთ მონუმენტს.

პატივცემულო თავისუფლების ლომებო! მონუმენტი გახლავთ დიდი მოცულობის ქანდაკება, რომელიც აუცილებელია ატარებდეს მემორიალურ შინაარსს. იგი იდგმება იმ ადგილზე, სადაც საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა გასახსენებელი, ან უდიდესი ისტორიული პიროვნებაა უკვდავსაყოფი (გამონაკლის შემთხვევაში, ცოცხალი პირის მიმართაც). ყოველ შემთხვევაში, სინამდვილის განსაკუთრებულობაა სწორედ აუცილებელი მონუმენტისათვის. თუ არ ჩავთვლით ბატონ ვაჟა ცაბუტაშვილის „ლომობას“, იმ ადგილზე, სადაც მონუმენტის დადგმა გაქვთ გადაწყვეტილი, სამონუმენტო სხვა არაფერი არ გახლავთ.

სოლომონ დოდაშვილის სამშობლოში მისი ქანდაკება სავსებით საკმარისია თავისუფლების უკვდავსაყოფად.

თქვენ კი მაინც იმუქრებით, მონუმენტის აღმართვა გადაწყვეტილია ბატონ ვაჟა ცაბუტაშვილის საცხოვრებელი ბინის პირდაპირო. მონუმენტალიზმი იკითხება სივრცეში და არა სარკმლიდან. მონუმენტი უმშვენიერესია შორიდან და უმახინჯესი ახლოდან, მაგრამ თავისუფლება რადგან ლომთა ხვედრია, მისი მონუმენტიც ხომ ლომებისაა. ჩვენ, უბრალო დროშის მოფრიალეებს, რა გაგვეგება.

ერთს კი აუცილებლად გთხოვთ, რადგან მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი ამ გაჭირვების დროში ასიათასობით დოლარის დახარჯვა და მონუმენტის აღმართვა, იქნებ, სწორედ დღევანდელი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა უკვდავყოთ თავისუფლების მონუმენტში. ხომ არსად გაგონილა და არასდროს მომხდარა, თავისუფალი აზრის წინააღმდეგ მაკრატლით მებრძოლი „ლომი“ ენახოს ვინმეს, ამიტომ, რომ გაამართლოთ მონუმენტის აუცილებლობა. კარგი იქნებოდა, თუ დიდ ქანდაკებაში, პიროვნების სახე ექნება ბატონ ვაჟა ცაბუტაშვილის თუ ლომის, იგი უკვდავვყოთ მონუმენტურ მაკრატელთან ერთად.

თენგიზ ბექაშვილი

# ბიზნესი „ნაკურთხი“ წყალით...

ქრისტიანულ ეკლესიას მრავალი გაჭირვება უნახავს, მაგრამ გაჭირვებიდან თავის დაღწევის ორიგინალური გზების მონახვის უნარით მრავალჯერ გაუოცებია თანამედროვენი. თუნდაც, ინდულგენციების გაყიდვის კლასიკური მაგალითი რად ღირს. არც ახლა სხედან წმინდა მამები გულხელდაკრეფილნი, ლოცვებში ჩაფლულნი. ისინიც ეძებენ ახალ-ახალ გზებს ბიზნესის რთულ ლაბირინთებში და საკმაოდ წარმატებითაც. აგერ ჩვენს მაგიდას ამშვენებს ორიგინალური ფორმის ბოთლი, წარწერით **„Ключевая вода из источника“**. მინაწერი გვამცნობს, რომ ეს წმინდა წყალი ჩამოსხმულია მისი უწმინდესობის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის ალექსი II-ის ლოცვა-კურთხევით. იმედია, ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს პატრიარქი მარტო არ შეასრულებდა, მას სხვა საეკლესიო ძმებიც დაეხმარებოდნენ ამ ტვირთის ზიდვაში. ამ ფაქტზე თუნდაც რეკომენდაციების გვერდით დარტყმული კოსტრომისა და გალიჩის ეპისკოპოსის პირადი ბეჭედი მეტყველებს. გამოდის, რომ წყალი ნაკურთხია. რა ღირს? - 70 თეთრი (ლარის კურსის მიხედვით). ძვირი არ არის! საერთო „დათბილების“ ტენდენცია არც საეკლესიო მამებისთვის ყოფილა უცხო და არც თავისი ამერიკელი ძმები დავიწყებიათ, ისე ლამაზად ჩახუტებია ეტიკეტზე ამერიკული დროშა რუსულს.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ რუსეთის საპატრიარქოს გონებრივი სასწაულების აპოთეოზი ჯერ არ დამდგარა. გეგმაშია ნაკურთხი არყის, ოპიუმის ნაყენის და სხვა „მაცოცხლებელი“ სითხეების გაწმინდავება-გაყიდვა. მშვიდად იყავით, მიღებული შემოსავალი რუსული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების აღდგენას მოხმარდება, რაშიც ამ წყლის ეტიკეტზე დატანილი მარწმუნებელი ტექსტის მიხედვით უნდა ვიყოთ დარწმუნებულნი.

ჰოდა, ვუსურვოთ რუსეთის ღირს მამებს აღმშენებლობა და წინსვლა ესოდენ „რთულ“ და „ეკლიან“ გზაზე...

კობა კიკნაძე

## ნიკო ლეკიშვილი: არ შეიძლება კომერციულ ბანკებში საგადასახადო ინსპექციის შეშვება

საქართველოს სახელმწიფო მინისტრ ნიკო ლეკიშვილს მიუღებლად მიაჩნია კანონში კომერციული ბანკების შესახებ იმ შესწორებების შეტანა, რომლებიც ქვეყნის საგადასახადო ინსპექციამ შეიმუშავა. ეს შესწორებები საგადასახადო ინსპექტორს ბანკში ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას აძლევენ. BGI-ის კორესპონდენტთან საუბრისას სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ თუ საქართველომ ეკონომიკის განვითარების ევროპული გზა აირჩია, მსგავსი შესწორება კანონში არ უნდა შევიდეს, რადგან მოსპობს, ნდობას შეარყევს სფეროსადმი. ნიკო ლეკიშვილის აზრით, შეიძლება დასავლური პრაქტიკის გამოყენება, სადაც კომერციული სტრუქტურები რეგულარულად აქვეყნებენ პრესაში ინფორმაციას საკუთარი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თავად საგადასახადო ინსპექციის მიერ ამ შესწორების დაწერის ფაქტი მისთვის მომგებიანი წესების დაკანონებას წააგავს, დასძინა ნიკო ლეკიშვილმა.

## გენერალური პროკურატურა განმარტავს

ბოლო დროს საინფორმაციო საშუალებებმა ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციები გაავრცელეს საინვესტიციო კორპორაცია „სასკო"-სა და „კავკასიის კონცერნში" მომხდარი დანაშაულებრივი ქმედების შესახებ – ნათქვამია საქართველოს გენერალური პროკურატურის პრეს-ცენტრის განცხადებაში. მასში ნათქვამია, რომ 1994 წლის 17 ივნისს საქართველოს შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე „კავკასიის კონცერნის" თანამდებობის პირთა მიმართ გადასახადებისაგან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით თანხის არიდების ფაქტზე.

„კავკასიის კონცერნის" გენერალური დირექტორი ამირან ქადაგიშვილი ერთდროულად იყო საინვესტიცო კორპორაცია „სასკო"-ს გამგეობის თავმჯდომარე. საინვესტიციო კორპორაცია „სასკოში" საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ მეანაბრეებისაგან მოზიდულმა თანხებმა 4183272 დოლარი შეადგინა. 1630 მეანაბრეზე გასაცემმა ვალმა 1518043 დოლარი შეადგინა დივიდენდების გარეშე. ასევე, „სასკოს" გაცემული აქვს კრედიტები, რომლის ნაწილი – 216643 დოლარი დღეისათვის დაუბრუნებელია. მიღებულია გადაწყვეტილება ქადაგიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ და მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა. (ბი ჯი აი)

# სამ დღეს ქუთაისი გვმართავს, ოთხს უტოვებს თბილისსა...

ჭიათურელთა ფოლკლორიდან

პირველი გვერდიდან

ანაც. გეგმა რომ ქაღალდზე არ დარჩეს, საჭიროა უცხოური ინვესტიციები, ჯერჯერობით დაინტერესდნენ სამხრეთ აფრიკული ფირმები და ასევე „ედიტელი". უცხოურ ინვესტორებთან დაკავშირებით ადრე გაუგებრობაც მოხდა. იტალიურმა ფირმებმა მოჭრეს მარმარილო და გაიტანეს, ბიუჯეტმა კი 4 მილიონის მაგიერად 11 ათასი ლარი მიიღო. ქალაქის მერს იმედი აქვს, რომ მომავალში ასეთი რამ არ განმეორდება. დავით კეკენაძე სიამაყით აღნიშნავს, რომ პირველი კვარტლის ბიუჯეტი შესრულდა. გამოდის ახალი ფერადი გაზეთი „ახალი ჭიათურა", თვეში სამჯერ. ბიუჯეტის 54% მასწავლებლებს ეძლევათ.

მიუხედავად ამდენი მუშაობისა, ქალაქის მოსახლეობას ყოველთვის არ ესმის თავისი ხელმძღვანელობის. ხელფასები ძნელად გაიცემა, ზოგან 8 თვე არაფერი მიუღიათ, პენსიების გაცემაც დაგვიანდა და ზოგიერთი ფოსტის მუშაკი ამაზე სარგებელს ნახულობს. ზოგ პენსიონერს სამი თვისას აძლევს, ზოგს კი იანვრის თვის პენსიაც არ მიუღია. ელექტროენერგიის მიწოდება მხოლოდ მაშინ ხდება, ისიც 2 საათით, თუ ქალაქის მერი ადგილზეა. თუ იგი ქალაქიდან გავიდა, მთელი ჭიათურა სიბნელეშია ჩაფლული. არსებობს ორნაირი სინათლე: მდიდრებისა და ღარიბების. რაღაც მანქანებით მდიდრებს ელექტრონი კაბელებით გადაყვანილი აქვთ სასიცოცხლოდ აუცილებელი ობიექტებიდან, ღარიბები კი ქალაქის მერის გამოჩენას ელიან. „ჭიათურას არ უმართლებს" – შეწუხებულია პრეზიდენტი. როგორც ამბობენ, 5 მილიონი დოლარის მარგანეცი დევს დღეს უმოძრაოდ. „ჭიათურმანგანუმს" კი 4 მილიონი ვალი აქვს. ეს ზედაპირზე, თორემ შახტში ვერავინ ჩადის; ზოგი ამბობს, დიდი მარაგიაო, ზოგი ეჭვს გამოთქვამს: დიდი-დიდი, 5 წელიწადს გვეყოსო. ალბათ, ამიტომ წარუდგინა ქალაქის მერმა სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის" რესტრუქტურიზაციის სახელმწიფო კომისიას გასატარებელ ღონისძიებათა პაკეტი, რომელშიც უმუშევრად დარჩენილი მოსამსახურეების სოციალური დაცვის მექანიზმებზეა საუბარი. გამოთქმულია მოსაზრება მუშა-მოსამსახურეთა პენსიაში ადრე გაშვების შესახებ. კომპენსაციის გარდა აქ გათვალისწინებულია მიწის ნაკვეთების შევსება-გამოყოფა I კატეგორიით, რაც ნიშნავს მიწაზე. მომუშავე გლეხის საკუთრებასთან გათანაბრებას. ამდენად, ეტყობა, რომ არც ქალაქის მერს აქვს დიდი იმედი პეროქსიტმა ქალაქს სიმდიდრე მოუტანოს. მოქალაქეებს არც ის ესმით, თუ რატომ აღმართა უზარმაზარი ჯვარი გაუქმებული საბადოს გვერდით ქალაქის მერიამ. ხუმრობენ, „ბარემ მიწაც წაგვეყარონო". დავით კეკენაძე კი სხვაგვარად ფიქრობს: ჭიათურა მოწყვეტილია ქვეყნის მთლიან არტერიას; საჭიროა, როგორმე ქვეყნის მაღალმა ეშელონებმა და უცხოურმა ფირმებმა ყურადღების მიღმა არ დატოვონ ქალაქი. ამისათვის კი, მინიმალური თანხები რასაც გაწვდება, უნდა მოეწყოს დღესასწაულები, უნდა აღდგეს მღვიმევის სამონასტრო კომპლექსი, კაცხის სვეტი. ყურადღება მიექცეს რაიონის კულტურულ-ისტორიულ ძეგლებს.. და იქნებ ვიღაც დაინტერესდეს, იქნებ ვიღაცამ კეთილი თვალით შეხედოს ჭიათურას და ქალაქიც ფეხზე დადგება.

ჭიათურა ვერც „ჯიხუროფობიას" ასცდა, რომელიც თბილისიდან დაიწყო და რაიონებმაც ძველებურად აიტაცეს, არ ჩამოერჩნენო. ამჟამად ენებები დაცხრა; ქალაქის არქიტექტორმა, ილია ჩიქვილაძემ წითელი ჯიხურების მაგიერად ერთსართულიანი კოხტა მინიმაღაზიებიააშენა ბაზრის გაყოლებაზე. თუმცა, ჯიხურომანიის დასაწყისშიც შეეძლო მათი აგება, მაშინ ხომ დასანგრევ-ასაღებიც აღარ იქნებოდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილებზე არა მხოლოდ ამგვარი ინიციატივა, არამედ სხვა, უფრო მსხვილი პროექტებიც არ კეთდება. ძველი მენტალიტეტი, როდესაც ზემდგომმა შენს მაგიერად ყველაფერი უნდა გადაწყვიტოს, პროვინციებში კვლავ მძლავრობს. ამას ხელს უწყობს რაიონების ორმაგი დაქვემდებარებაც. ამ თემაზე ხალხური ფოლკლორის ნიმუშები ჭიათურაში მრავლადაა:

„ველარ გავიგეთ, ვის ვეყმოთ
ქუთაისსა თუ თბილისსა,
ორივე ერთად გვამოწმებს
დაგვაკარგინებს სინდისსა.
კვირა გავა, არ გვჭირდება
ფიქრი, ჭყლეტა ტვინისა,
სამ დღეს ქუთაისი გვმართავს
ოთხს უტოვებს თბილისსა".

ქართველი კაცი ხომ იუმორს იშველიებს ყველაზე გამოუვალ სიტუაციაში და ჭიათურის მოსახლეობამ მელექსეობას მიჰყო ხელი. ქალაქის მერზე პოემები აქვთ დაწერილი. ბენზინზე, ელექტროენერგიაზე, ჰუმანიტარულ ტვირთზე, ჯიხურებზე და სხვა ამგვარზე კალამბურებს ვინ მოთვლის. ნაგუთში უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა, რომლის რექტორი მხოლოდ იმითაა ცნობილი, რომ აკაკის „გამზრდელი" გააგრძელა და ახალი „შედევრი" შექმნა. ამგვარად, დიდი მგოსნის მოციქულე მხოლოდ შუქრითელი ბარდენი არაა, შეკუ ჭიათურის უსაქმოდ-დარჩენილი მოსახლეობაც წილში.

სხვათა შორის, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ჭიათურის პოლიციასაც არა აქვს ბევრი საქმე. ქალაქში სიმშვიდეა, მძიმე დანაშაულობები კარგა ხანია არ მომხდარა. არის წვრილმანი ქურდობა; უმეტესად მშიერი ბავშვები იპარავენ ბაზრიდან კამფეტებს, ან ვინმე სიცივით შეწუხებულს ხელი წაუცდება მეზობლის შეშაზე. ამასწინათ კი იმერეთისათვის შეუფერებელი ფაქტი მოხდა, ვიღაცამ საფლავის ქვა მოიპარა. პოლიცია გზების გასუფთავებით, ავადმყოფების და მიცვალებულების გადაყვანით არის დაკავებული, რადგან სამედიცინო სამსახური არ არსებობს. მაწანწალა ძაღლებზეც მათ ურეკავენ, მაგრამ პოლიცია ამ საქმეს თავს არიდებს „ცხოველების დაცვის საზოგადოების" პროტესტის გამო. „ადამიანთა დაცვის საზოგადოება კი შექმნილი არააო", – ირონიულად შენიშნავენ პოლიციელები. აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით პოლიციას თავსატეხი გაუჩნდა. ქალაქიდან გადახვეწილი ქურდული სამყაროს ავტორიტეტები შუამავლებს გზავნიან, ნათესავების საფლავზე გასვლას ნუ დაგვიშლით და ნუ დაგვაკავებთო. როგორც მოსახლეობაში ითქვა, ეს შუამავლები საკმაო თანხას იჯიბავენ ხელშეუხებლობის გარანტიაში, ხოლო პოლიციელები წინასწარ აცხადებენ, რომ თუ დანაშაული არ ჩაუდენია ვინმეს, რატომ დავიჭერთ, თავი დაგვანებეთო. ვისლა ახსოვს შავი სამყარო, როდესაც სხვა სიბრტყეში გადაინაცვლა დანაშაულმა. პროკურატურაში უკვე გადასცეს ფირმა „კვაჭი", რომელსაც ფოლადი და სპილენძი ჰქონდა დატაცებული მაგნიტური სეპარატორებიდან. სხვათა შორის, ისინი ქალაქს შაქრის შემოტანას პირდებოდნენ. პატარა ქალაქს ყველა ჩაგრავს, შინაური თუ გარეული. იტალიელებმა თითქმის მუქთად წაიღეს მარმარილოს ზოდები, ზესტაფონის ფეროშენადნობს თითქმის მუქთად სურს პეროქსიტი, დავით კეკენაძემ ქალაქი ჯართისაგან გაწმინდა, ერთ ადგილას დააგროვა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობას შესთავაზა. მათ კი მუქთად მოინდომეს წაღება, მილებს გავაკეთებთ, გავყიდით და გადაგიხდითო. საქენერგოსგან გამოყოფილი 12 მეგავატი კი სად მიდის, არც ქალაქის მერმა იცის და არც ადგილობრივმა ელექტროქსელის უფროსმა. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ელექტროსადგურის უფროსი შქმერელია და სულ თავის სოფელს აძლევს ელექტროენერგიასო. მაგრამ ასეთი რამ ძნელი დასაჯერებელია.

დავით კეკენაძე კი იღწვის, ოცნებობს და სააღდგომოდ „ჯერის პარკის" გახსნას პირდება თანამოქალაქეებს. იქნებ მართლაც ღმერთმა გადმოხედოს ჭიათურას და მომავალში, იქ ჩასვლის დროს, ინდიელთა მკვდარი ქალაქები არ გამახსენდეს.

მანანა იაშვილი
ჭიათურა — თბილისი

# კარტოფილი — მარგებელი თუ მავნებელი?

ჩატარდა აგრარული, გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტების გაფართოებული სხდომა, რომელიც უკვე ჭაბადაღებული გენური ინჟინერიის პროდუქტების საქართველოში შემოტანის საკითხს მიეძღვნა. ეს საკითხი უკვე კარგა ხანია საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, მაგრამ მის გადაჭრას არა და არ დაადგა საშველი, ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის ბ.გულუას გამოცხადებას. თუ გ.ხევიაშვილის სიტყვას ვირწმუნებთ, მინისტრი თურმე საკუთარ ხელისმოწერებზეც უარს ამბობს ხოლმე (იშვიათად, რა თქმა უნდა). გ.ხევიაშვილმა ასევე განაცხადა, რომ, მისი აზრით, მეცნიერებათა აკადემიაზე სამინისტროს მხრიდან გარკვეულ ზეწოლას ჰქონდა ადგილი. თანაც მინისტრი კადრების დაკომპლექტებისას ხშირად არაპროფესიონალებს ანიჭებს უპირატესობას.

ფირმა ACDI-ს წარმომადგენელმა გ.მურვანიძემ ითავა მოპასუხის როლი, მაგრამ აქტიური უმრავლესობის ზეწოლას მაინც ვერ გაუძლო. თუმცა, იგი დაჟინებით ირწმუნება, რომ კარტოფილის გამოყენება არავითარ რისკ-ფაქტორებთან არ არის დაკავშირებული.

ამ კამათში მთავარი სიტყვა მაინც მეცნიერებას ეკუთვნის. მეცნ.აკადემიის მხრიდან აზრი გამოთქვეს გ.თუმანიშვილმა, გ.სანაძემ, მ.ზაალიშვილმა. რთული გენეტიკური თემის ანალიზისაგან რომ არ გადავღალოთ მკითხველი, მათი მოსაზრების რეზიუმეს შევთავაზებთ. მეცნიერული თვალსაზრისით, პრობლემას ორი მხარე აქვს; პირველი – კარტოფილი საჭმელად ვარგისია და მის ამ მიზნით გამოყენებას არავითარი კატასტროფული შედეგი არ მოჰყვება. მეორე: – რაც შეეხება მის გამრავლებას, მოსალოდნელი გენური ცვლილებებისაგან იგი დაზღვეული არ არის. ამიტომ ეს მომენტი დაკავშირებულია გარკვეულ რისკ-ფაქტორთან. და მესამე (ეს „მესამე" წინა ორთან სხვა კავშირშია), ჩვენს მეცნიერებს არ შეუძლიათ ამ კარტოფილის ანალიზი მისი გენეტიკური „პროგრესის" თვალსაზრისით. მიზეზი საკმაოდ ბანალურია – ქართულ მეცნიერებას საამისო მატერიალური უზრუნველყოფა არა აქვს (ლაბორატორია, დანადგარები და სხვა). ახლა მაინც დაინახავს მთავრობა, რომ მეცნიერებასაც შეუძლია სარგებლობის მოტანა.

ორიოდე სიტყვით თვით ფირმა „Monsento "-საც შევეხოთ. 50 წლის წინ იგი თურმე აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა შხამქიმიკატების დანერგვის საკითხში, ხოლო შემდეგ მისი უმსხვილესი მწარმოებელი გახდა. ახლა კი...

სხდომაზე გ.სანაძეს მოუხდა უხერხული თავის მართლება იმის გამო, რომ მას დასწამეს, ვითომ მეცნიერთა ჯგუფის სახელით სხვადასხვა გაზეთში გამოაქვეყნა ე.წ. „5 მარტის" განცხადება. მან განაცხადა, რომ „Monsento "-ს მხარდამჭერი არავითარი განცხადება მას არ გაუკეთებია, უბრალოდ, მან პასუხი გასცა შეკითხვას. კულუარებში ითქვა, რომ ACDI-ს წარმომადგენლებმა მის პასუხს განცხადების სახე მისცეს და ყველა გაზეთს დაურიგეს.

სხდომაზე მიიღეს დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შეჩერდეს ყველა მსგავსი პროექტი, შეიქმნას ექსპერტთა მუშა ჯგუფი, რომელიც ამ საკითხებზე იმუშავებს, ხოლო იმ 600 ათასი ტონა კარტოფილის ბედს პარლამენტი გადაწყვეტს. ამ გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა წეროძემ (რომელმაც მინისტრს „სტენკა აული" და განაცხადა, ამ საქმეში კონსულტანტი მე ვიყავი და მთავარი „დამნაშავე" მე ვარო) პროექტს „37 წლის" საკადრისი უწოდა და არც სხვა „საქებარი" სიტყვები დაიშურა. გ.ხევიაშვილიც არ დარჩენილა ვალში: „რაც მოიგო, „Monsento "-ს გაუნაწილეო", რასაც ბატონი წეროძე, ალბათ, არ აპირებს.

პაატა მანჯულაშვილი

## ენერგოსისტემაში შექმნილი სირთულეები

აპრილის თვეში ენერგოსისტემის მართვაში სირთულეები გრძელდება. კერძოდ, თითქმის დაცლილია ენგურჰესისა და ჟინვალჰესის წყალსაცავები, ჯამური სიტვირთით 300 მგტ., თბილსრესში მხოლოდ ორი ბლოკი მუშაობს. საწვავის უქონლობის გამო გაჩერებულია თბილისის თეცი. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტისათვის სახელმწიფო კომპანია „საქენერგო“-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოდან გახდა ცნობილი. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა 500 კვ-ელექტროგადამცემი ხაზის „იმერეთი“-ს გამორთვამ. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ წინა წლებთან შედარებით, ელექტროენერგიის გამომუშავება გაზრდილია და 20,9 მლნ. კვტ.სთ.-ს, ზრდის ტემპით 104 % შეადგენს.

საქართველოს ენერგოსისტემა პარალელურად 49.5 ჰერცის ფარგლებში მუშაობს. (იფრინდა)

## თბილისში გაიხსნა საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქართველოს განყოფილება

— ითქვა საგადასახადო სამსახურში დღეს გამართულ შეხვედრაზე. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს საგადასახადო სამსახურის პრეს-ცენტრში აცნობეს. ორგანიზაციაში გაერთიანებულია საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე 50-ზე მეტი უცხოელი ბიზნესმენი. მათი ამოცანაა საქართველოში უცხოური ინვესტიციების განსახორციელებლად უკეთესი კლიმატის შექმნა. საერთაშორისო სავაჭრო პალატას 7 ივლისს თბილისში დაგეგმილი აქვს კონფერენციის ჩატარება, რომელიც საქართველოში საგადასახადო რეფორმების საკითხებს მიეძღვნება. შეხვედრაზე საგადასახადო სამსახურის უფროსმა დ.სალარიძემ განაცხადა, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ხელისშემწყობ პირობებს ქმნის უცხოელი პარტნიორებისათვის. თუმცა, მან ხაზი გაუსვა იმ პრობლემებს, რომლებიც საგადასახადო სისტემაში ჯერ კიდევ მოუგვარებელია. მისივე თქმით, საგადასახადო კოდექსი, რომელსაც პარლამენტი იხილავს, მნიშვნელოვანწილად მოაწესრიგებს არსებულ ხარვეზებს. პრობლემათა ოპერატიულად გადაჭრისათვის კი სავაჭრო პალატის იმ წევრებს, რომელთა წლიური შემოსავალიც 100 ათას ლარს აჭარბებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით შექმნილ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში გადასვლა შესთავაზეს. (იფრინდა)

● პოლემიკა

# ორი პროფესორი სამსჯავროს წინაშე

ვახტანგ ერქომაიშვილი

### რა მნიშვნელობით დამკვიდრდა ტერმინი იდეოლოგია ფილოსოფიასა და მეცნიერებაში?

როგორ ესმოდა ანტუან დესტიუტ დე ტრასის იდეოლოგია? მისი აზრით, იდეოლოგია არის განსაკუთრებული მეცნიერება იდეების შესახებ ანუ მოძღვრება იმის შესახებ, თუ გრძნობადი წარმოდგენებიდან როგორ წარმოიქმნება იდეები, როგორ ხდება მათი შეერთება და ჩამოყალიბება სისტემად, როგორია მათი ფუნქციობის კანონზომიერებანი. ფრანგი მოაზროვნე თვლის, რომ იდეოლოგია ისეთივე ბუნებრივი მეცნიერებაა, როგორც ზოოლოგია და, რომ მას სიზუსტის ისეთივე ხარისხი აქვს, როგორც მათემატიკას.

იდეოლოგია ზოგადი მეცნიერებაა, რომელიც თავის თავში მოიცავს გრამატიკას და ლოგიკას. იგი უნდა იყოს ფუნდამენტური ფილოსოფიური მეცნიერება, რომელზეც დაფუძნდება არა მარტო სხვა მეცნიერებანი, არამედ ადამიანის პრაქტიკული საქმიანობაც.

ანტუან დესტიუტ დე ტრასის განზრახვა, რომ იდეოლოგია დაემკვიდრებინა როგორც მეცნიერება იდეების შესახებ, განუხორციელებელი და იმთავითვე განწირული იყო. რატომ? იმიტომ, რომ იდეების წარმოქმნისა და ფუნქციობის კანონზომიერებებს სხვადასხვა კუთხით შეისწავლის ისეთი დისციპლინები, როგორიცაა: მეცნიერების მეთოდოლოგია, ლოგიკა და ფსიქოლოგია. ფილოსოფიაში მას შეისწავლის შემეცნების თეორია ანუ გნოსეოლოგია. ამ დისციპლინათა გვერდით ახალი, განსაკუთრებული მეცნიერების დაფუძნება, რომელიც იმავე ამოცანას შეასრულებდა, უაზრო და აბსურდული იყო. იგი არც განხორციელებულა და ვერც განხორციელდებოდა. ამის სანაცვლოდ ტერმინმა „იდეოლოგიამ“ შეიძინა სულ სხვა მნიშვნელობა და ისე დამკვიდრდა აზროვნების სისტემაში. კერძოდ, იგი გაგებულ იქნა, როგორც იდეათა სისტემა საზოგადოებისა და სახელმწიფოს, მათი განვითარების პერსპექტივებისა და მომავლის შესახებ.

ოპონენტი შემოგვედავება: კი, მაგრამ ტერმინი „იდეოლოგია“, ძველბერძნული სიტყვების ბაზაზე ითარგმნება, როგორც „იდეათმცოდნეობა“. რასაკვირველია, ეს ასეა და ამაზე არავინ დაობს. მაგრამ ერთია სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა და სულ სხვაა ის მნიშვნელობა, რომელსაც იგი შემდგომ იძენს და ხმარებაში მკვიდრდება. მაგალითად, სიტყვა „გეომეტრია“ ძველბერძნული წარმომავლობისაა და ნიშნავს მიწისმზომლობას. ამის გამო დღეს სერიოზულად არავინ დაიწყებს მტკიცებას, რომ გეომეტრია არის მეცნიერება მიწისმზომლობის შესახებ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №38.

### ხალხის კოლექტიური აზროვნების შესახებ

ოპონენტი დაჟინებით ამტკიცებს, რომ არსებობს ხალხის კოლექტიური აზროვნება და არ არსებობს წმინდა ინდივიდუალური აზროვნება. მაგრამ იგი არ განმარტავს არც ხალხის ცნებას და არც აზროვნების ცნებას, ამიტომ გაუგებარი რჩება, თუ რას ნიშნავს ხალხის კოლექტიური აზროვნება.

ხალხის ცნება მრავალი მნიშვნელობით იხმარება. ხალხი, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა; ხალხი, როგორც ქვეყნის მოსახლეობა; ხალხი, როგორც მშრომელი მასები; ხალხი, როგორც სოციოლოგიური კატეგორია; ხალხი, როგორც ამომრჩეველთა ერთობლიობა. დასასრულ, სიტყვა „ხალხი“ მოიხმარება ყოველდღიურ მეტყველებაში. იგი აღნიშნავს ადამიანთა ჯგუფს. მაგალითად, ვამბობთ: „ხალხი მიტინგებზე დადის“; „ხალხი კინოთეატრებში არ დადის“; „არსებობს ბრძენი ხალხი“; „არსებობს კეთილი ხალხი“ და ა.შ. ამგვარ სიტუაციებში სიტყვა „ხალხი“ იხმარება არაპირდაპირი, გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობით. იგი ყოველდღიური მეტყველების სიტყვაა და არა მეცნიერული ცნება.

იგივე ითქმის აზროვნების შესახებაც. განასხვავებენ აზროვნების რამდენიმე სახეს – წარმოდგენებით აზროვნებას, ხატოვან აზროვნებას და ცნებებით აზროვნებას. პირველს ემყარება აზროვნება ყოველდღიური ცნობიერების დონეზე; მეორეს ემყარება ხელოვნება. იგი მხატვრული სახეებით აზროვნებაა. მესამეს ემყარება მეცნიერება. მეცნიერული აზროვნება ცნებებით აზროვნებაა.

ოპონენტი არ აზუსტებს, თუ რა აზრით მოიხმარს იგი აღნიშნულ ცნებებს. მაგრამ მისი ბჭობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი მათ იყენებს ყოველდღიური მეტყველების დონეზე. ამის გამო იგი არ განსაზღვრავს ცნებებს და თავისი აზრის დამტკიცებას ცდილობს მხოლოდ მაგალითების მოშველიებით. მეც იძულებული ვარ, გავაანალიზო მის მიერ მოტანილი მაგალითები.

ოპონენტი გაოცებით სვამს კითხვას: „ნუთუ ფილოსოფოსს, პროფესორს იმის ახსნა უნდა სჭირდებოდეს, რომ არსებობს უთვალავი ფორმა ხალხის კოლექტიური აზროვნებისა?“ და რომ არ დაგვტოვოს უმეცრებაში, იგი დიდსულოვნად გვიხსნის და მოაქვს სათანადო მაგალითები. ისე, უმჯობესი იქნებოდა, რომ მას ეს აეხსნა ცნებების და არა მაგალითების დონეზე. მაგრამ რას ეიზამთ, იგი ცნებებით საერთოდ არ აზროვნებს.

მაგალითი პირველი: „თვით მისი დარგი ფილოსოფია ერთ მთლიან პროცესს არ წარმოადგენს აზროვნებისა თალესიდან და უფრო ძველი მოაზროვნეებიდან ვიდრე დღემდე?“ – სვამს კითხვას ოპონენტი.

ძველბერძნული ფილოსოფია შექმნეს მოაზროვნეებმა (ინდივიდებმა და არა ხალხმა) – თალესმა, ჰერაკლიტემ, დემოკრიტემ, სოკრატემ, პლატონმა, არისტოტელემ, ეპიკურემ და ა.შ. რა თქმა უნდა, ყველას ვერ ჩამოვთვლით. როდესაც დასახელებული მოაზროვნეები ფილოსოფოსობდნენ და ფილოსოფიას ქმნიდნენ, ამ დროს ბერძენი ხალხის უმრავლესობა სხვა საქმეებით იყო დაკავებული: ზოგი მიწას ამუშავებდა, ზოგი ხელოსნობას მისდევდა, ზოგი ვაჭრობდა, ზოგი ომობდა და ზოგიც საერთოდ არავითარ სასარგებლო საქმეს არ აკეთებდა. მათ ფილოსოფია არც იცოდნენ და არც აინტერესებდათ. საინტერესოა, როგორ უნდა მიეღოთ მათ მონაწილეობა ფილოსოფიის შექმნაში?

მაგალითი მეორე: „ანდა რატომ იკრიბება ხალხი მიტინგებზე, თათბირებზე, კონფერენციებზე, თუ კოლექტიურად აზროვნება, განსჯა შეუძლებელია?“ – გაოცებულია ოპონენტი.

ჯერ ერთი, მიტინგებზე, თათბირებზე და კონფერენციებზე იკრიბება არა ხალხი, არამედ ადამიანთა ჯგუფი. მეორე, მიტინგებზე ადამიანები არ იკრიბებიან ერთი მიზნით: ნაწილი მოდის ვილაცის მხარდასაჭერად, ნაწილი ვილაცის სალანძღავად, ნაწილი ცნობისმოყვარეობის გამო, ნაწილი გასართობად, ნაწილი სრულიად შემთხვევით. მიტინგზე თუ ადგილი აქვს რაიმე აზროვნებას, ეს ხდება ლოზუნგების, წამოძახილების, ემოციების, ტაშისკვრის, სტვენის დონეზე. ნუთუ ესაა ხალხის კოლექტიური აზროვნების ნიმუში?

მესამე, თათბირებსა და კონფერენციებზე ადამიანები იკრიბებიან არა იმისათვის, რომ კოლექტიურად იაზროვნონ, არამედ იმისათვის, რომ გამოთქვან თავიანთი ინდივიდუალური მოსაზრებანი, ოღონდ კოლექტივის წინაშე. კოლექტივის თანდასწრებით აზროვნება არ არის კოლექტიური აზროვნება.

მაგალითი მესამე: „პროფესორმა არ იცის, რომ სწორედ წმინდა ინდივიდუალური აზროვნება არ არსებობს. ნებისმიერი ნორმალური ადამიანის ნააზრევი ემყარება და თავისთავში გულისხმობს სხვათა ნააზრევს. ერქომაიშვილის მიხედვით ყველა ადამიანი დამოუკიდებლად აღმოაჩენს, რომ ორჯერ ორი ოთხია, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო და არა პირიქით და ა.შ.“ – წერს ოპონენტი.

ის, რომ აზროვნება ინდივიდუალური და არა კოლექტიური პროცესია, ამას ამტკიცებს არა ერქომაიშვილი, არამედ მეცნიერება, კერძოდ, ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია. აზროვნებს ინდივიდი, სანამ ცოცხალია. მის სიკვდილთან ერთად მისი აზროვნებაც მთავრდება. ის, რომ არისტოტელე პლატონის ნააზრევს ეყრდნობოდა, იმას კი არ ნიშნავს, რომ პლატონი და არისტოტელე კოლექტიურად აზროვნებდნენ.

მე ვამტკიცებ არა იმას, რომ ყოველი ადამიანი დამოუკიდებლად აღმოაჩენს ყველა ჭეშმარიტებას, არამედ შემდეგს: ყოველი ჭეშმარიტების აღმოჩენას თავისი ინდივიდუალური ავტორი ჰყავს. ორჯერ ორი რომ ოთხია, ან დედამიწა რომ ბრუნავს მზის გარშემო – პირველად რომელიღაც ინდივიდებმა აღმოაჩინეს. შემდეგ მათ სხვები სწავლობენ და იმეორებენ. ველოსიპედს თავისი გამომგონებელი ინდივიდი ჰყავს და მისი ხელმეორედ გამოგონება აღარაა საჭირო.

გაგრძელება იქნება

## აფხაზეთი ადიღეასთან მეგობრობას აგრძელებს

მაიკოპს ეწვია აფხაზეთის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა აფხაზეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებში ენვერ კაპბა. დაგეგმილია ტექნიკური შეთანხმების ხელმოწერა ადიღეასა და აფხაზეთს შორის. (ბი ჯი აი)

## იხილავენ კანონპროექტს

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, გუშინ პარლამენტში გამართულ ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა კომიტეტის საკომიტეტო მოსმენაზე განიხილეს კანონპროექტი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. შენიშვნები წარმოადგინეს სახალხო ფრაქციის წევრმა თ.შარმანაშვილმა, პარლამენტის ექსპერტმა ვ.ხმალაძემ, პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომიტეტის თავ-რემ ე.თევდორაძემ და სხვებმა. შენიშვნები შეეხებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის გათვალისწინებულ ადგილებში მიტინგებისა და შეკრებების ორგანიზატორთა უფლება-მოვალეობებს, მათი ჩატარების ადგილისა და რეგისტრაციის წესს, სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას, მომიტინგეთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების უფლებებს. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გადაწყდა – საკომიტეტო მოსმენა გაგრძელდეს პარლამენტში 26 აპრილს 2 სთ-ზე, სადაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები თავის ვარიანტებს წარმოადგენენ შესაჯერებლად. (იფრინდა)

## «შევაჩეროთ თურქეთის ახალი ექსპანსია»

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭო შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ხელისუფლებაში მოკალათებული კომპრადორული ძალები ამზადებენ ტენდერს საქართველო-თურქეთი რკინიგზის მშენებლობაზე. „გეგმის განხორციელების შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ გადაიქცევა თურქეთის უვარგისი პროდუქციის გასაღების ბაზრად. პრაქტიკულად გაუქმდება ბათუმისა და ფოთის პორტები, მაგრამ ევრაზიის დერეფანი სამხრეთისაკენ გადაუხვევს და თურქეთის პორტებზე გაივლის, დაიწყება თურქების მასიური შემოსახლება“, – ნათქვამია პარტიის მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში. განცხადების ავტორთა აზრით, რკინიგზა ის იარაღია, რომელიც დააჩქარებს საქართველოს უომრად გათურქებას. სოციალ-დემოკრატები თხოვნით მიმართავენ პრეზიდენტს, დაინტერესდეს აღნიშნული საკითხით და სათანადო რეაგირება მოახდინოს. (იფრინდა)

# სიტყვის თავისუფლების ხვედრი თურქეთსა და საქართველოში

ადამიანის პოლიტიკური ცნობიერების და პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი მონაპოვარია სახელმწიფო. მისი წარმოშობა განაპირობა ადამიანთა მისწრაფებამ, შეექმნა კეთილდღეობისა და საყოველთაო თანაცხოვრების პირობები. სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების ხანგრძლივი ისტორია მის მრავალ ფორმებს იცნობს. ამჯერად ჩვენი მიზანი არ არის სახელმწიფოს ისტორიის და თეორიის პრობლემების განხილვა, იგი უფრო მოკრძალებულია. გვსურს კონკრეტული ფაქტების მაგალითზე ვაჩვენოთ სახელმწიფოს, როგორც გარკვეული ხელისშემშლელი ფაქტორის ჩვენება პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების საქმეში. რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს (გარდა ანარქისტებისა) სახელმწიფოს როლსა და მნიშვნელობას ხალხის, ერის და კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო აყვანილი იქნას „ღვთაების“ რანგში. მოკლედ, სახელმწიფო უნდა იყოს ადამიანისთვის და არა ადამიანი სახელმწიფოსათვის. ასეთია თანამედროვე განვითარებული მსოფლიოს ძირითადი პოლიტიკური ღირებულებები, რომელსაც საფუძვლად ღრმა ფილოსოფიური და ისტორიული წანამძღვრები აქვს, რისი შეფასებაც ძალზედ მნიშვნელოვანი საქმეა. ჩვენ ამჯერად არ შევუდგებით ამ საფუძვლების გამოკვლევას და ჩვენებას. უბრალოდ ამ ეტაპზე ასეთი მიდგომა ჩავთვალეთ აქსიომად, რომელიც გაზიარებულია კაცობრიობის მოწინავე ნაწილის მიერ და გაზიარებული უნდა იქნას მათ მიერაც, ვინც აპირებს გაწევრიანდეს კაცობრიობის მოწინავე ქვეყნებთან. როგორც ჩემთვის ცნობილია, საქართველო და თურქეთიც ცდილობენ ევროპულ და მსოფლიო სტრუქტურებში გაერთიანებას, იმ სტრუქტურებში, რომელთა პოლიტიკის ფილოსოფიის მიერ უზენაეს ღირებულებად აღიარებულია ადამიანი და ყველა სხვა სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სტრუქტურა მოწოდებული უნდა იყოს ადამიანის სამსახურისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო თავისთავად არაა ბოროტება, თუმცა ის იძლევა საშუალებას, სახელმწიფო ხელისუფლებამ თავისი პირადი მიზნების თუ ინტერესების განხორციელებისათვის გამოიყენოს. იქმნება ისეთი ვითარება, რომელიც სახელს გაუტეხს თვით სახელმწიფოს, როგორც ასეთს. თანამედროვე ევროპული პოლიტიკური აზროვნებისათვის სახელმწიფოს ეს „სუსტი“ მხარე გათვალისწინებულია ანუ ისტორიულად ჩამოყალიბებულია სამოქალაქო ინსტიტუტების სახით, ხელისუფლების დანაწილებით და სხვა დემოკრატიული მექანიზმებით მინიმუმამდე დაყვანილია სახელმწიფო ჩინოვნიკების თვითნებობა. სხვათაშორის თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს ნებისმიერი დონის მოხელის თვითნებობის შეზღუდვა არის ერთ-ერთი კრიტერიუმი სამოქალაქო-სამართლებრივ დემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯისათვის. ამ მხრივ როგორც საქართველო, ასევე თურქეთი, როგორც სახელმწიფო, განსაკუთრებით მისი ჩინოვნიკების წყალობით, ვერასგზით ვერ ჩადგება ევროპული ტიპის სახელმწიფოთა რიგებში. ჩინოვნიკების ანუ „ნაზირვეზირების“ თვითნებობას ხელს უწყობს მასობრივი ცნობიერებაც, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო აყვანილია „ღვთაების“ რანგში, რასაც ადასტურებს თანამედროვე თურქულ ენაში არსებული კომპოზიტი „მამა სახელმწიფო“. ამავე ცნობიერების მიხედვით სახელმწიფოს მიმართ გამოიყენება ეპითეტები მამა-მარჩენალი, მფარველ-დამცველი ძალა, ყოვლისშემძლე, ყველაფრის უფლების მქონე და სხვა. ალბათ, მკითხველები დამეთანხმებიან, რომ მსგავს ცნობიერებას აქვს ადგილი საქართველოშიც. ამ ყველაფრით კარგად სარგებლობენ ჩინოვნიკები და სახელმწიფო უზენაესი ინტერესების ნიღბით საკუთარ პირად ზრახვებს ახორციელებენ. და მხოლოდ რიგითი ადამიანების უფლებებს კი არა, არამედ თვით ქვეყანაში არსებულ ელემენტარულ სამართლებრივ ნორმებსაც კი უხეშად არღვევენ.

თუკი თვალს გადავავლებთ თურქეთის თავისუფალ პრესას, ვნახავთ მრავლისმთქმელ ფაქტებს, სადაც სახელმწიფოს უზენაესი სახელით მრავალი უკანონობა ხდება. თუნდაც, 1996 წლის დეკემბრის პრესას გადავავლოთ თვალი. ერთი ჩვეულებრივი ავარიის შემდეგ საქმე „გატყდა“, 1990-იან წლებში თანსუ ჩილერის ერთპიროვნული მმართველობის პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკის განუყრელ ნაწილად იქცა ნაცისტური ტერორისტების გადაქცევა ქურთული პარტიის „ფქქ“ და სომხურ „ასალას“ ტერორისტული ორგანიზაციების განადგურებისათვის. საქმე ისაა, რომ ის ნაცისტები, რომელთაც ხელისუფლება თავის პოლიტიკური ზრახვებისათვის იყენებს, ძალზედ საშიში ძალაა და მათი „საქმეთა-გმირობანი“ (ტერორიზმი და ნარკობიზნესი) ინტერპოლის ყურადღების ცენტრშია. ამ ყველაფერს დამატებული, ხელისუფლების მიერ არასამართლებრივ ნიადაგზე შექმნილ არაოფიციალურ ე.წ. დამსჯელ რაზმს ხელისუფლება, მისი თუ ოპოზიციონერი მოქალაქეების ფიზიკურად განადგურების საქმეშიც კი იყენებს, ამის შესახებ სერიოზული ეჭვები უკვე არსებობს. ბოლო წლებში თურქეთში ასობით კაცი მოკლულია, მათი უმრავლესობა ე.წ. თურქეთის სახელმწიფოს უზენაესი ეროვნული ინტერესების მოწინააღმდეგედ ითვლებოდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო გეგმაზომიერად ახორციელებს „წმენდის“ პოლიტიკას თავისი ე.წ. „არასაიმედო“ მოქალაქეების წინააღმდეგ. ყოველივე ამან თურქეთის საზოგადოების მოაზროვნე ნაწილში ეჭვი გააჩინა სახელმწიფოს მიმართ. თურქი ხალხის ცნობიერებაში ხდება მნიშვნელოვანი გარდატეხა: „მამასახელმწიფო“ კარგავს თავის მნიშვნელობას. იქცევა თუ არა ის (სახელმწიფო) ადამიანთა ინტერესების დამცველად და მსახურად, ეს მომავლის საქმეა, თურქი ხალხის პოლიტიკური კულტურის დონეზეა, მის მენტალიტეტზეა დამოკიდებული. სხვათაშორის, თურქეთის მოაზროვნე პოლიტიკოსები შეშფოთებულნი არიან იმ გარემოებით და გამოთქვამენ ერთობ საყურადღებო პროგნოზს, რომ არაოფიციალური ე.წ. დამსჯელი რაზმი ერთ მშვენიერ დღეს პრობლემებს შეუქმნის როგორც ხელისუფლებას, ასევე თვით სახელმწიფოს.

რაც შეეხება თურქეთის დღევანდელ სურათს, სავალალოა. თანსუ ჩილერის სწორი გზის პარტიასთან კოალიციით ხელისუფლებაში მყოფმა ისლამისტურმა (რეფაჰ-კეთილდღეობის) პარტიამ თავისუფალ პრესაზე ზეწოლის მიზნით შექმნა ახალი კანონ-პროექტი, რომელიც ათასგვარ ანტიდემოკრატიულ შეზღუდვებს ითვალისწინებს. მათ შორის ჟურნალისტს ეკრძალება ე.წ. სახელმწიფოს უზენაესი ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ნებისმიერი მოხელის საქმიანობის მამხილებელი ფაქტების დაბეჭდვა. თურქეთში არსებული რეჟიმი ღრმა კრიზისს განიცდის. პოლიტოლოგთა აზრით, არსებული კრიზისი კულმინაციას მიაღწევს მაშინ, როცა ხსენებულ პროექტს კანონად მიიღებს პარლამენტი. ისეთ პროგნოზებსაც აქვს ადგილი, როგორიც არის მოსალოდნელი მორიგი სამხედრო გადატრიალება.

კრიზისის მაუწყებელია თ.ჩილერის ანტიდემოკრატიული განცხადება იმის თაობაზე, რომ „ვინც სახელმწიფოს უზენაესი ინტერესებისათვის ტყვიას გაისვრის ან მიიღებს, ყველა გმირია. რაც შეეხება მათ ნაცისტ-ტერორისტობას და ნარკობიზნესმენობას - მეორეხარისხოვანია“. ეს განცხადება პრესამ დამნაშავეობის ერთგვარ აღიარებად შეაფასა. ამის გამო ჩილერი ჟურნალისტებს გაურბის და მათთან შეხვედრისას ერთსა და იმავეს აცხადებს: „მე ამავე დროს გახლავართ საგარეო-საქმეთა მინისტრი და ძალიან გთხოვთ, ნუ მკითხავთ საშინაო პოლიტიკაზე“. პრესის ახალი კანონით თურქეთის ხელისუფლებას სურს შეზღუდოს ე.წ. მეოთხე ხელისუფლება, რომელიც თავისუფლებისა, სამოქალაქო-სამართლებრივი პრინციპების ერთადერთ დამცველად რჩება. თავისუფალი პრესის ხელყოფის ფონი, რაც ახალი კანონით დაფიქსირდება, შექმნა თ.ჩილერის საჯარო განცხადებამ - „თურქეთის პრესა შეგნებულად თუ შეუგნებლად ემსახურება საბერძნეთს, სასომხეთს... როგორი მახვილიც თურქულმა პრესამ ზურგში ჩასცა სახელმწიფოს, ასეთი რამ მოსისხლე ქვეყნებს ჯერ არ გაუკეთებიათო“. ანალიტიკური გონებისათვის რას ნიშნავს ასეთი განცხადება, გასაგებია. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

რაც შეეხება საქართველოს პრესის და სახელმწიფოს ურთიერთობას, ის ჩამოყალიბების პროცესშია. საქართველოს პრესას მოუწევს დიდი ძალისხმევა და დაპირისპირება სახელმწიფო სტრუქტურებთან, რათა გაუძლოს ზეწოლას და გახდეს ჭეშმარიტად თავისუფალი. საქართველოს თავისუფალ პრესას არც ისე დიდი ხნის ტრადიციები გააჩნია.

გაგრძელება მე-8 გვ.

## გაიხსნა მეორე მსოფლიო დელფიური კონგრესი

გუშინ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიხსნა მეორე მსოფლიო დელფიური კონგრესი. მისი მიზანია გაამყაროს დელფიური მოძრაობის ქარტია და შეიმუშაოს შემდეგი დელფიადის ჩატარების ფორუმი, რომელიც 1999 წლისთვის დელფში არის დაგეგმილი. კონგრესში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 6 დღე გასტანს, ჩამოვიდა 13 ქვეყნის დელეგაცია და რამდენიმე დელეგაციას კიდევ ელიან. კონგრესის გახსნისას, საერთაშორისო დელფიადის გენერალურმა მდივანმა ქრისტიან კირშმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ საქართველომ, მისთვის ასეთ მძიმე პერიოდში, შესძლო სახსრების გამოყოფა მეორე მსოფლიო დელფიური კონგრესისა და ბავშვთა პირველი მსოფლიო დელფიადის ჩასატარებლად, რომელიც გუშინ სახელმწიფო ფილარმონიაში გაიხსნა. (ბი ჯი აი)

## 19 თვითმკვლელობის ფაქტი დაფიქსირდა

საქართველოს გენერალური პროკურატურის გამოძიების მსვლელობაზე საზედამხედველო მეთვალყურეობის სამმართველოს არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების უფროსმა ნუგზარ კერესელიძემ BGI-ის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ 1995-96 წლებში საქართველოში დაფიქსირებულია მოზარდთა თვითმკვლელობის 19 ფაქტი. აქედან, 8 გოგონაა. კერესელიძის თქმით, მოზარდებს თვითმკვლელობისაკენ უფროსები უბიძგებს, რომლებიც მათ მათხოვრობას აიძულებენ, ითრევენ სექსუალურ ცხოვრებაში და ბედის ანაბარად ტოვებენ. კერესელიძემ აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე 67 მოზარდი დაიღუპა ასაფეთქებელი ნივთიერებებითა და ცეცხლსასროლი იარაღით თამაშის შედეგად.

## საგამოძიებო ორგანოებმა გამოძიებისას ვადები დაარღვიეს

საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიაზე შემდეგი ციფრი მოიყვანეს - გასულ წელს, 2465 საქმიდან 807 საქმე ვადის დარღვევით იქნა გამოძიებული. ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გამოძიების ვადა 9 თვეს შეადგენს, რის შემდეგაც დაკავებულს ან ბრალდება უნდა წარუყენონ, ან ის უნდა გაანთავისუფლონ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში და პროკურატურაში გამოძიების მსვლელობაზე საზედამხედველო სამმართველოს უფროსის რამაზ ჟღენტის თქმით, გამოძიების მსვლელობების გაჭიანურება გამოწვეულია როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური გარემოებებით. ობიექტურ მიზეზად მან დაასახელა რეაქტივების ნაკლებობის გამო ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული სირთულეები. სუბიექტურ მიზეზად დასახელდა ზოგიერთი გამომძიებლის გულგრილი დამოკიდებულება საკუთარ მოვალეობებისადმი. რამაზ ჟღენტის განცხადებით, პროკურატურის ორგანოებში 250 საქმეზე მეტია შეჩერებული იმის გამო, რომ არ იქნა გაკვეთილი გვამები. წინასწარ განზრახული მკვლელობის ფაქტებზე 100 საქმის გამოძიება იმ მოტივაციით არის შეჩერებული, რომ დამნაშავეები იძებნებიან. (ბი ჯი აი)

# აზერბაიჯანი ქართველი ჟურნალისტის თვალით

### ჩანაწერი პირველი

საერთაშორისო საზოგადოებრიობა თავისი ორგანიზაციების საშუალებით დიდ ყურადღებას აქცევს ყოფილ კომუნისტური სივრცის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს. ბოლო წლებში გამოიკვეთა, რომ დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობისათვის საკმარისი არაა მხოლოდ მრავალპარტიული სისტემები. მთავარია, აქ მცხოვრები ადამიანები განთავისუფლდნენ კომუნისტური დროისთვის დამახასიათებელი ხელისუფლების მიმართ ყრუ აგრესიის, ინერტულობის და ცხოველური შიშის სინდრომისაგან. ამიტომ, დემოკრატიული თვითშეგნების დანერგვა და თავისუფალი ადამიანის აღზრდა უპირველესი საქმეა ჩვენთვის. ამისათვის შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მიზანია, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაითავისოს ის უფლებები და თავისუფლებები, რომელიც ღმერთსა და ცივილიზაციას მოუნიჭებია ჩვენთვის. სხვადასხვა მიმართულების არასამთავრობო ორანიზაციები ხშირად იკრიბებიან ერთმანეთთან კოორდინაციის და გამოცდილების გაზიარების მიზნით. 17-20 აპრილს ბაქოში გამართული პლურალიზმის ცენტრების მე-9 სემინარი სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. ამჯერად შეკრების ინიციატორი გახლდათ აზერბაიჯანის პლურალიზმის ცენტრი „ინამი“ (დირექტორი ვაჰიდ ფარეიზოღლი) და აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიის ინსტიტუტი.

საქართველოს დელეგაცია ბაქოს ფორუმზე საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. მონაწილეობდა ოთხი ორგანიზაცია: „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაცია (რატი ჯვებაშვილი, აკაკი დარასელია), „ჟურნალისტთა კავკასიური კლუბი“ (მანანა იაშვილი), ევრაზიის ფონდის საქართველოს განყოფილება (ალექსანდრე ლომაია), „განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრი“ (ივლიანე ხაინდრავა, დავით ბერძენიშვილი, ფრიდონ საყვარელიძე) და ასოციაცია „ათინათი“ (რუსუდან ყალიჩავა, გია ხასია). ბაქოში ჩამოსული იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფონდების წარმომადგენლები ბელორუსიიდან, უკრაინიდან, ესტონეთიდან, საფრანგეთიდან, ხორვატიიდან, ბოსნიიდან, რუმინეთიდან, სლოვაკიიდან, უზბეკისტანიდან, ყირგიზეთიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, პოლონეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

ქართულ დელეგაციას სადგურში მასპინძლები, საზოგადოება „ინამის“ წარმომადგენლები დაგვხვდნენ და მანქანებისაკენ გავეშურეთ. შუა გზაში ჩვენი ჯგუფი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა მილიციის მუშაკმა შეგვაჩერა და მილიციის განყოფილებისკენ გაგვიძღვა. დოკუმენტების შემოწმების შემდეგ აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა ბოდიში მოგვიხადეს და ჩვენი დაკავების მიზეზი იმით ახსნეს, რომ სომეხი ექსტრემისტების საქართველოს გზით შემოსვლა აზერბაიჯანში ერთეული შემთხვევა არაა, ამიტომ ყველას გამოწმებთო. თბილისიდან ჩასულ ხალხის ჯგუფში - რატომ ვგავდით მაინცდამაინც ჩვენ „სომეხ ექსტრემისტებს“, აღარ გაგვირკვევია.

ბაქოს რკინიგზის სადგურზე უამრავი ხალხი ირევა. დაშვებულია გარე ვაჭრობა. ბევრია წვრილმანების გამყიდველი ბავშვები 7-დან 13 წლამდე. უამრავი მილიციელი ირევა ხალხში რეზინის ხელკეტებით.

მანანა იაშვილი

გაგრძელება იქნება

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება პრივატიზებული კაპიტალური სახლი 1200 კვმ ბაღით, თეთრიწყაროს რაიონში, ასურეთის საგარაკო სამეურნეო ტერიტორიაზე. 1 სართულზე დარბაზი, სამზარეულო, საკუჭნაო, ბუხარი. II სართულზე - ორი ოთახი შუშაბანდით და 10 კვმ ღია აივნით, III (მანსარდში) - ერთი ოთახი შუშაბანდით. გაყვანილია ელექტრობა და სარწყავი სისტემა. ფასი 7800 ლარი ან შეიძლება გაცვლა თბილისში ორ ან ერთოთახიან ბინაზე. ტელ. 30-34-96 (დილას ან საღამოს).

---

იყიდება არასტანდარტული, პრივატიზებული ბინა აბანოთუბანში იტალიურ ეზოში, საერთო ფართით 55 კვმ. პირველ სართულზე. აქვს სარდაფი, მანქანის დასაყენებელი ადგილი. სამზარეულო და სველი წერტილი საკუთარია. საწყისი ფასი 10000$ მისამართი: გორგასლის №21 იკითხეთ ლელა ან ბელა

---

მეტრო „სამგორთან" იყიდება კერძო ბინა, საცხოვრებელი ფართი 52 კვმ, დიდი ეზოთი, საორიენტაციო ფასი 13000$ ტელ. 74-59-95 მერი

---

იყიდება კერძო სახლი, ორსართულიანი, 9 ოთახით, ვაკეში. საერთო ფართი 215 კვმ, ეზოს ფართი 1500 კვმ. ფასი შეთანხმებით: ტელ. 29-21-75

---

იყიდება ტიპიური 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით, ტელეფონით, 8 სართულიანის მე-8 სართულზე. რკინის კარებით, ქუჩის მხარეს პატარა აივანი სათავსოთი. ფასი 11000 დოლარი. ტელ. 61-71-46 ნანა

---

იყიდება 1,5 სარემონტო ბინა ბახტრიონის ქუჩაზე, საერთო ფართი 45 კვმ, ფასი 12000$ ტელ. 36-01-11

---

იყიდება 4 ოთახიანი გარემონტებული, არასტანდარტული ბინა ვაჟა-ფშაველას დასაწყისში, საერთო ფართი 110 კვმ, კაპ.გარაჟით და სარდაფით. ფასი 50000$ ტელ. 36-01-11

---

იყიდება 2 ოთახიანი კერძო ბინა ლეოვის ქუჩაზე ხეხილიანი ბაღით, სარდაფით, მარნით და ავტოფარეხით. ფასი 38000$ ტელ. 38-01-11

---

ქალაქის ცენტრალურ რაიონში, სიმონ ჩიქოვანის (ხილიანის) ქუჩაზე ბავშვთა ქალაქ-პარკ „მზიურის" მოპირდაპირე მხარეს მდინარე ვერეს ნაპირთან იყიდება არასტანდარტული პროექტის 6 ოთახიანი ბინა საერთო ფართით 200 კვმ (მათ შორის ოთახები 49+21+21+19+17+17), დიდი ჰოლით და ორი სანკვანძით 15X16-ზე, შესანიშნავი ხედით (მუდმივი ელმომარაგებით, ლიფტების საკითხი გადაჭრილია, საერთო გენერატორით) სარდაფითა და კაპიტალური დიდი გარაჟით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 36-33-22 იკითხეთ თამრიკო ან დათო.

---

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ.№11 მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 ლარი. ტელ. 23-26-83

---

იყიდება კეთილმოწყობილი ბინა 4 ოთახით (3+1) ჩარგლის 22, ბ.21. ღრმაღელის მეტროსთან. 5 სართულიანი სახლის მე-2 სართულზე. სახლის ფართი 80 კვმ ლოჯიით, ტელეფონით, რკინის კარით. ორი საკუჭნაოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 60-66-42 გია

---

იყიდება საკუთარი სახლი ბელეტაჟზე ორთაჭალაში. როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით. კეთილმოწყობილი. სახლის ფართი 80 კვმ, აქვს საკუთარი ეზო, ავტოფარეხი, ცხელი წყალი და დიდი სარდაფი. ტელ. 72-26-31

---

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, კარგი რემონტით, ტელეფონით, გარაჟით, სარდაფით. ნუცუბიძის 211, კ.4, სად. 1, მე-6 სართული. ბ. 16. ფასი შეთანხმებით ტელ. 31-25-83

---

იყიდება 4 ოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში, საერთო ფართი 220 კვმ, დიდი სარდაფით, რემონტით, ავტოფარეხით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-77-50

---

იყიდება 4 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა დიდ დიღომში. ტელ. 96-79-38

---

იყიდება 3 ოთახიანი მაღალჭერიანი იზოლირებული ბინა 2 სართულიანი ეზოიანი სახლის მე-2 სართულზე. ტელეფონით, დეზერტირების ბაზართან. წინამძღვრიშვილის 182 ტელ. 34-30-71

---

იყიდება 1,5 ოთახიანი ბინა, ჩეხური პროექტი, მე-8 სართულზე, ნახევრად გარემონტებული, სამშენებლო მასალით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 74-72-43

---

იყიდება 3 ოთახიანი ბინა ნუცუბიძის ქ. №44-ში, მე-3 კორპ. I სად. მეორე სართული ბინა 4. ოთახების ფართი 20+15+15 ლოჯია - 24 კვმ, ჭერი - 3,15 მ. წაბლის კარფანჯრით, გისოსებით, ჩაშენებული კარადებით. ორი ღია აივნით, სარდაფით, ტელეფონით, რკინის კარებით. საწყისი ფასი 35000 დოლარი. ტელ. 39-66-44

---

იყიდება მეტრო „დელისთან" კუთხის ტიპიური სამოთახიანი ბინა 5სართულიანის მე-3 სართულზე სამმხრივი მიშენებით. მიშენება სარემონტოა. ოთახების ფართი 106 კვმ ტელეფონით, რკინის კარებით. აივნებით და სათავსოებით. ფასი 20000 დოლარი. ტელ. 22-71-29 მარინე

---

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ11 მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 ლარი. ტელ. 23-26-83

---

იყიდება სასწრაფოდ რეალური ღირებულების მესამედ ფასში 3 სართულიანი კაპიტალური სახლის მე-3 სართული. 6 ოთახი. საერთო ფართი 200 კვმ, ჭერის - 3,5. საკუთარი იზოლირებული 400 კვმ ხეხილიანი ეზოთი. კაპიტალური გარაჟი - 2 მანქანისათვის, სამხატვრო სახელოსნოთი, გათბობის, განათების, წლის სისტემით. ფასი 40000 დოლარი. ტელ. 96-23-45

---

სასწრაფოდ იყიდება 3 ოთახიანი ბინა 9X7, გაურემონტებელი, ტელეფონით, აქვს სარდაფი და მანქანის გასაჩერებელი ადგილი, ფასი 6000$ თემქის დასახლება, მე-3 მიკრორაიონი. ტელ. 96-69-75

## ვასწავლი

ვარ კვალიფიციური სტაჟიანი პედაგოგი. მოვამზადებ ბავშვებს რუსულ ენასა და ლიტერატურაში ქართული სკოლებისათვის და გერმანულ ენაში. დარეკეთ ტელ. 51-56-66 ჟენია

---

შევასწავლი ერთ თვეში საბეჭდ მანქანაზე ბეჭდვას „ბრმა" ბეჭდვის მეთოდით. ტელ. 74-19-54 მაია

---

შევასწავლი გიტარაზე დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველებს ფასი შეთანხმებით. ტელ. 64-76-77 მაიკო

## ქირავდება

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა დიღმის მასივში, ხიდთან, 14 სართულიანი სახლის ბოლო სართულზე ტელეფონით, ბუხრით, ლიფტი მუშაობს. ფასი 120 დოლარი, ტელ. 98-25-63

---

ქირავდება ოთახნახევრიანი ბინა მეტრო „პოლიტექნიკურთან" სტუდენტ გოგონაზე. ტელ. 38-70-51; 38-26-88 მერი

---

ვაქირავებ 2 ოთახიან იზოლირებულ ბინას, ავეჯით, ტელეფონით, ქავთარაძის ქუჩაზე. ტელ. 22-15-75

## სხვადასხვა

შევიძენ 7-8 წლის ჟიგულის მარკის ავტომანქანას 1500 დოლარის ფარგლებში. ტელ. 98-25-63

---

იყიდება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით, კეთილმოწყობილი მაღაზია. ფართი 200 კვ.მ, აქვს საწყობი, ლიფტით, 250 კვ.მ ფართით. ტელ. 72-26-31

---

იყიდება იმპორტული 15 სანთლიანი ბრინჯაოს ჭაღი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-51-96

---

იყიდება ან იცვლება მსუბუქ ავტომანქანაზე 1991 წელს გამოშვებული სამხედრო ორხიდიანი „ОАЗ" (ვილისი). ფასი 2000 დოლარი. ტელ. 95-69-71

---

ვყიდი სასადილოს „710" კარგ მდგომარეობაში. ტელ. 36-26-09

---

იყიდება გერმანული კიდელი. ტელ. 36-26-09

---

იყიდება თბილისიდან 18 კმ დაშორებით ბაქოში მიმავალ გზაზე ბენზინის გასამართი სადგური. ტელ. 36-26-09

---

სასწრაფოდ იყიდება ჩეხური პიანინო „როსლერი", ფასი შეთანხმებით. ტელ. 66-87-83 ნონა

---

იყიდება რუმინული სამზარეულო, იაპონური ტელევიზორი „პანასონიკი" 72 დ.გ. იაპონური ვიდეომაგნიტოფონი „პანასონიკი", ტელევიზორი „იუნოსტ -406დ" შავ-თეთრი 33 დიაგ. კონდიციონერი ბკ-1500, საბეჭდი მანქანა „ლისტვიცა" ქართული შრიფტით, ფეხით საკერავი მანქანა „პოდოლსკი 2-მ", წყლის გამაცხელებელი ატმორი - სუპერ, ისრაელის გამოშვება, ტრანზისტორი „ოკეანე" ელემენტებზე ტელ. 72-26-31

## სხვადასხვა

ჩვენს საყვარელ **ია ნიაზაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, დიდ ქალურ ბედნიერებას. გაზაფხულივით ლამაზ და მშვენიერ მომავალს, რასაც შენ უდავოდ იმსახურებ შენი კარგი ადამიანობით.

*გკოცნით, გეფერებით*

ნინო და შაკო

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

**ო**

ოგანიშვილი - 30 (თეთრიწყარო - 29; მცხეთა - 1);
ოდელაძე - 27 (თბილისი - 20; ქუთაისი - 3; წყალტუბო - 2);
ოდიშერიძე - 32 (დედოფლისწყარო - 13; თბილისი - 8; მცხეთა - 8);
ოზბეგაშვილი - 32 (თბილისი - 31; თელავი - 1);
ოზგებაშვილი - 44 (გორი - 24; კასპი - 12; თბილისი - 4);
ოკიაშვილი - 22 (ლაგოდეხი - 8; გურჯაანი - 4; დედოფლისწყარო - 3);
ოკოშვილი - 35 (ადიგენი - 17; ახალციხე - 11; გორი - 1);
ოლქიშვილი - 31 (გარდაბანი - 15; თბილისი - 16);
ომაიძე - 50 (ახმეტა - 39; თბილისი - 4; თელავი - 4);
ონიკაძე - 33 (თბილისი - 21; ბორჯომი - 5; თელავი - 4);
ორაშვილი - 35 (თბილისი - 6; ბორჯომი - 3; მცხეთა - 1);
ორახელაშვილი - 40 (თბილისი - 21; ზესტაფონი - 18; მცხეთა - 1);
ორბეთიშვილი - 36 (ახმეტა - 26; თბილისი - 7; გარდაბანი);
ორთავიძე - 34 (თბილისი - 14; მცხეთა - 3; გურჯაანი - 1);
ორტოლაშვილი - 32 (თბილისი - 14; დუშეთი - 10; მცხეთა - 3);
ოსაშვილი - 33 (ბათუმი - 3; ყვარელი - 30);
ოსიპაშვილი - 29 (თელავი - 12; თბილისი - 10; ბათუმი - 1);
ოსკანაშვილი - 20 (თბილისი - 6; გორი - 3; რუსთავი - 3);
ოსორაული - 25 (თელავი - 12; ახმეტა - 10; სიღნაღი - 1);
ოსტარიშვილი - 36 (ზესტაფონი - 31; თბილისი - 2; ოზურგეთი - 1);
ოსტატიშვილი - 41 (თბილისი - 14; რუსთავი - 10; გარდაბანი - 6);
ოტოლაძე - 40 (ქედა - 15; ქობულეთი - 12; ხარაგაული - 1);
ოტრაბახიძე - 29 (თბილისი - 3; ბათუმი - 1; სამტრედია - 25);
ოქონაშვილი - 20 (თბილისი - 12; მცხეთა - 5; ბორჯომი - 2);
ოქროსაშვილი - 22 (გორი - 6; თბილისი - 15; კასპი - 1);
ოქროსიშვილი - 22 (გორი - 7; თბილისი - 7; კასპი - 1);
ოქროსცვარიძე - 40 (თბილისი - 39; თელავი - 1; წალკა - 1);
ოქროშიძე - 38 (თბილისი - 24; გურჯაანი - 10; ლაგოდეხი - 2);
ოქროჯანაშვილი - 31 (თბილისი - 15; ლაგოდეხი - 4; გარდაბანი - 3);
ოღლიშვილი - 41 (გურჯაანი - 21; თბილისი - 7; მცხეთა - 3);
ოძიაშვილი - 27 (დმანისი - 14; გორი - 5; ბოლნისი - 3);
ოძიშვილი - 24 (ბოლნისი - 9; თბილისი - 9; დმანისი - 4);
ოჯახიშვილი - 24 (ხელვაჩაური - 9; ვანი - 4; ბოლნისი - 1).


# ბიზნესმენების საყურადღებოდ!

გთავაზობთ სპეცტექნიკას ინფორმაციის დასაცავად და კავშირგაბმულობის საშუალებებს: ტელეფონის ხაზების, გამოთვლითი ტექნიკის და ოთახების დაცვა ინფორმაციის გაჟონვისაგან; არასანქცირებული მოსასმენი და ჩამწერი მოწყობილობების დადგენა-აღმოჩენის სისტემებს; ლითონდეტექტორებს; დიქტოფონებს; ფოტოაპარატებს; ღამისმხედველობის ხელსაწყოებს; დურბინდებს; სატელევიზიო დაკვირვების სისტემებს; კონტროლის და დაშვების სისტემებს: თითის ანაბეჭდით და მაგნიტური ბარათებით; დაცვისა და სახანძრო სიგნალიზაციას; ჯავშანჟილეტებს; მოკლეტალღიან და ულტრამოკლეტალღიან რადიოსადგურებს; რადიოტელეფონებს; მინი სატელეფონო სადგურებს და ტელეფონების აპარატებს; ვიდეო და აუდიო დომოფონებს; კოდირებულ ელექტროსაკეტებს.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი.

**საკონტაქტო ტელეფონები: 98-26-27: 98-23-62**





ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „არტანუჯი" უკვე სამი წელია გამოდის. სულ ახლახანს მკითხველმა მიიღო ახალი, მე-5 ნომერი.

ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების დღევანდელ მდგომარეობას ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობა. ამ მხრივ, აღსანიშნავია ბუბა კუდავასა და გიორგი კალანდიას სტატიები. დავით-გარეჯის გასაჭირზე მოგვითხრობს ფონდ „უდაბნოს" აღმასრულებელი დირექტორი ლადო მირიანაშვილი.

ხელოვნებათმცოდნე დავით ხოშტარიას სტატია ქალაქ არტანუჯისა და მისი სიძველის შესახებ ჩვენს საზღვრებს გარეთ აღმოჩენილი ქართული ძეგლების ისტორიას და დღევანდელ მდგომარეობას მიმოიხილავს.

ჟურნალის ახალგაზრდა გამომცემლებს არც ჰერალდიკა დარჩენიათ ყურადღების მიღმა, თორნიკე ასათიანის ნაშრომი ქართულ გერბებს ეხება. აქვეა გამოქვეყნებული ბაგრატიონთა საგვარეულოს მუხრანული შტოს სრული გენეალოგია.

საგულისხმოა დავით ნინიძის, მარიამ ზალდასტანიშვილის, ქეთევან შოშიაშვილის, მერაბ კალანდაძის და სხვა ახალგაზრდა მეცნიერების სტატიები ქართული ისტორიის ეთნოგრაფიის საკითხებზე.

მისასალმებელია ახალგაზრდა ისტორიკოსების ღვაწლი, რაც იმედს გვაძლევს, რომ მოდის ქართველ ისტორიკოსთა ღირსეული ცვლა.

# ჰოროსკოპი

## 26-29 აპრილი

ვერძი - თუმცა დღესასწაული წინაა, სამუშაოს მაინც ვერ წყდები. აღდგომას შენაძენი გექნება. გარდაცვლილთა საფლავების მონახულება კი ფილოსოფიურ განწყობაზე დაგაყენებს. სამშაბათს ისევ საჩუქარი გელის, ან შეიძენ რამეს.

კურო - იმდენი სამუშაო იტვირთე, რომ ლამის დღესასწაული დაგავიწყდა. არ შეიძლება ასე.

ტყუპები - ასეთ ნათელ დღეს როგორ შეიძლება ჩხუბი და გაბრაზება. მოთოკე ემოციები.

კიბო - გაზაფხულმა და აღდგომის დღესასწაულმა შემოქმედებითი აღმაფრენა მოგანიჭა. უზენაესის საჩუქარს ნუ უარყოფ, გამოიყენე. შენაძენიც გექნება და საქმეც. სამშაბათს კი, იმედია, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ, საქმის გადადება არ ივარგებს.

ლომი - ხანგრძლივმა თვითანალიზმა ემოციების აბორგება გამოიწვია. სჯობს თვითანალიზს დაუბრუნდე. მერე რა ვქნათ, რომ ახლობლებს ვკარგავთ, ყველა იქეთ ვართ წასასვლელი.

ქალწული - გაზაფხულია, სიყვარულია, დღესასწაულია! ბედი გაგიღიმებთ და შემოქმედებითი საქმიანობაც კარგად ეწყობა.

სასწორი - უამრავი შენაძენი გექნებათ და დროც დაგრჩებათ იფიქროთ.

ღრიანკალი - სასწრაფოდ გადასაწყვეტია სერიოზული საკითხი. უნდა იმუშაოთ ბევრი და წინ! გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა მიიღოთ.

მშვილდოსანი - ნუ აყვებით ემოციებს და ნუ ჩაამწარებთ ახლობლებს დღესასწაულს.

თხის რქა - სერიოზული გადაწყვეტილება ორჯერაა მისაღები, თან უამრავი სამუშაოც დაგიგროვდათ.

მერწყული - ფილოსოფიური თვითჩაღრმავება კარგია, მაგრამ ნუ გადაამლაშებთ.

თევზები - სერიოზული საკითხი გაქვთ გადასაწყვეტი, რომელიც შეიძლება პირად ცხოვრებას უფრო შეეხება, ვიდრე სამსახურს. მომავალ კვირაში კი ბევრი საქმე გელით. ახლა კი დაისვენეთ და გამხიარულდით.

*ყველას გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს!*

ფილოსოფოსი მატრონა

# ლატარეა ყველასათვის

## 25 აპრილს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის" მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – №301071; | 70 ლარი – *76705; |
| 1000 ლარი – №666029; | 60 ლარი – *36325; |
| 900 ლარი – №286049; | 50 ლარი – *39467; |
| 800 ლარი – №469856; | 40 ლარი – *08756; |
| 700 ლარი – №138707; | 30 ლარი – *90092; |
| 600 ლარი – №117005; | 25 ლარი – *59506; |
| 500 ლარი – №217934; | 20 ლარი – *36818; |
| 400 ლარი – №258901; | 10 ლარი – ***787; |
| 300 ლარი – №576276; | 10 ლარი – ***139; |
| 200 ლარი – №319477; | 10 ლარი – ***693; |
| 100 ლარი – №547641; | 10 ლარი – ***337; |
| 90 ლარი – *76828; | 10 ლარი – ***158. |
| 80 ლარი – *41474; | |

„ლატარია ყველასათვის" გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეთექვსმეტე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის" ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე

– 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის XVI ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **6872; 9870** გათამაშებაზე შეუძლიათ 2 მაისს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა მოიგო ლატარიის ბილეთმა №**450088**. ფინური წარმოების ტრაქტორი მოიგო ლატარიის ბილეთმა №**764289**

## დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „საქართველოზე" 1997 წლის მეორე ნახევრისათვის.

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნე"-ს (ყოფილი „სოიუზპეჩატი") ხელმოწერის რაიონულ უბნებში. შეგახსენებთ მისამართებს:

- *მოსკოვის გამზირი 18 ტელ. 71-32-87*
- *გლდანის რ-ნი, დუმბაძის 4ა კორპ. ტელ. 62-75-32*
- *დ.გურამიშვილის გამზ. №30 ტელ. 60-80-22*
- *ივ.ჯავახიშვილის (ყოფ.კალინინის) ქ14 ტელ. 95-87-36*
- *ქეთევან წამებულის (ყოფ.შაუმიანის) გამზ. 61 ტელ. 74-14-47*
- *აკ.წერეთლის გამზ. 73 ტელ. 34-75-51*
- *რ.თაბუკაშვილის ქ.№12*
- *ცენტრალური ოფისი, გამსახურდიას გამზ.42 ტელ. 37-47-49; 93-43-97*
- *ჭავჭავაძის გამზ. 46 ტელ. 22-64-58*

ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისთან მიიწვიონ „მაცნე"-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად.
ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა;
„მაცნე"-გარანტია ხელმომწერისათვის ჟურნალ-გაზეთების დროული და უდანაკარგო ჩაბარების.
ენდეთ ხელმოწერაში „მაცნე"-ს ნახევარსაუკუნოვან გამოცდილებას.

# სიტყვის თავისუფლების ხვედრი თურქეთსა და საქართველოში

მეექვსე გვერდიდან

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღესდღეობით არსებული პრესის თავისუფლება ხანგრძლივი ბრძოლით არაა მოპოვებული. საქართველოში ბოლო წლებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად პრესამ თავისუფლება მიიღო ერთგვარ საჩუქრად. და ალბათ, ამიტომაც ვერ ამკვიდრებს პრესის თავისუფლებას. მე ღრმად მწამს, რომ საქართველოს პრესა როცა გონს მოვა, უკვე საკმაოდ გვიან იქნება. ჩემი ბოლო პერიოდის ხანმოკლე ურთიერთობა დღევანდელ საქართველოს პრესასთან მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ე.წ. თავისუფალი პრესა ინერციით, რბილად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს სტრუქტურების გავლენის ქვეშ იმყოფება. როგორც ზემოთ ვთქვი, ჩემი პირადი გამოცდილება მაძლევს ამის თქმის საშუალებას. რასაკვირველია, მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ე.წ. თავისუფალი გაზეთი ვალდებულია დაბეჭდოს ყველა მასალა, რომელიც ამა თუ იმ ავტორს მოეპრიანება. მითუმეტეს, როცა ეს მასალა მწვავეა და სახელმწიფო სტრუქტურების „შავ-ბნელი" საქმეების მამხილებელ პათოსს შეიცავს. გაზეთს აქვს უფლება, აპრიორი უარი უთხრას ავტორს, მაგრამ როცა ის ამას (ანუ უარს) ამბობს არა თავისი ნებით, არამედ სახელმწიფო სტრუქტურების, რბილად რომ ვთქვათ, „ხათრით", საქმე მაშინაა სავალალო, რაც იმის მაუწყებელია, რომ საქართველოში სიტყვის თავისუფლება ილუზიურია. რა თქმა უნდა, მას აქვს ობიექტური მიზეზები, პირველ რიგში ის, რომ არ არის სრულყოფილი კანონი პრესის შესახებ. მაგრამ მე უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია სუბიექტური მომენტი ანუ პრესის მუშაკების მენტალიტეტი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ახლო წარსულის – ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი აზროვნებისაგან. ჩემთვის ცნობილია, რომ შეიქმნა და პარლამენტი განიხილავს ახალ კანონ-პროექტს პრესის შესახებ, მაგრამ ჩემთვის ისიც ნათელია, რომ როგორი სრულყოფილი კანონიც არ უნდა იყოს, თუ არ არსებობს ამ კანონის განხორციელების პირობები და რაც მთავარია, თუ არ არსებობს ნება ამ „ნაბოძები სიკეთის" განხორციელებისა, კანონი უბრალო ფარატინა ქაღალდად იქცევა.

თითქმის ერთდროულად ელოდება ორი ქვეყნის – თურქეთისა და საქართველოს საზოგადოება კანონს პრესის შესახებ. განსხვავებულია სასტარტო პირობები. თურქეთში, ასე თუ ისე, ჩამოყალიბებულია თავისუფალი პრესა, რომელიც იბრძვის თავისი ინტერესების დაცვისათვის. საქართველოში კი შეიძლება მიღებული იქნას სრულყოფილი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი კანონი, თუმცა, მისი ცხოვრებაში გატარება, დღევანდელი ჟურნალისტური მენტალიტეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეუძლებელი შეიძლება შეიქმნას. ჩემის მხრივ კი ორი განვითარებადი ქვეყნის ჟურნალისტებს ვუსურვებ: თურქებს – თავისი აქტიურობით იძულებულნი გახადონ ხელისუფლება, რომ ახალი კანონი არ ლახავდეს სიტყვის თავისუფლებას. ქართველებს – კი მეტ პროფესიონალიზმს, თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების ერთგულებას, რაც საბოლოო ჯამში თავად ქვეყნისთვის (და არა კონკრეტული ხელისუფლების თუ რომელიმე სახელმწიფოს ორგანოს თუ ჩინოვნიკებისთვის) იქნება მომგებიანი. როცა სიტყვის თავისუფლება ჭეშმარიტად იქნება გამოყენებული, მაშინ, ხელისუფლების ვერცერთი რგოლი, ვერც ერთი დონის ჩინოვნიკი ვერ შეძლებს უბატონოდ დაარღვიოს ადამიანის უფლებები, ქვეყანაში არსებული სამართლებრივი ნორმები. პრესა მოვალეა და უნდა ცდილობდეს კიდეც სახელმწიფოსა და პიროვნების ჰარმონიული, სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას სხვა სამოქალაქო ინსტიტუტებთან ერთად. ამ მხრივ ქართულ პრესას დიდი ძალისხმევა მართებს, მან უწინარესად უნდა გაიცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა ქვეყნის, მისი კონსტიტუციის წინაშე, დაძლიოს მემკვიდრეობით მიღებული შიში სახელმწიფო სტრუქტურების ანუ „ძლიერთა ამა ქვეყნისას" წინაშე, ეცადოს იყოს ობიექტური და არა მაამებელი და ამით მოიხადოს ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ალი ალთუნი

## გაიმართება ზეიმი – „მოქალაქის დღე საქართველოში"

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი თბილისში აწყობს ზეიმს – „მოქალაქის დღე საქართველოში". მეიდანზე მდებარე პარკში მოაწყობენ პავილიონებს, რომლებშიც, 1-დან 8 ივნისამდე, თბილისში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები დამსწრეთ თავის კულტურულ, ეთნოგრაფიულ და კულინარიულ თავისებურებებს გააცნობენ. რუსული, უკრაინული, გერმანული, სომხური, აზერბაიჯანული, ბერძნული და სხვა სათვისტომოები ზეიმისთვის კულტურულ პროგრამას ამზადებენ. ნავარაუდევია, რომ ზეიმის ბოლო დღეს დაესწრება საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის წარმომადგენლები და ქალაქის ხელმძღვანელობა.

## პარლამენტი აჭიანურებს კონვენციის რატიფიცირებას

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განიხილეს საქართველოსა და უზბეკეთის მთავრობებს შორის კონვენცია ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, რომელსაც ორი ქვეყნის მთავრობებმა 1996 წლის 28 მაისს მოაწერეს ხელი. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თემურ კოპალეიშვილმა განაცხადა, რომ კონვენციის ტექსტი ბევრ შეცდომას შეიცავს და მასში მოყვანილი განმარტებები არ ემთხვევა იგივე დეფინიციებს საქართველოს მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობაში. კომიტეტმა მიიღო თემურ კოპალეიშვილის წინადადება – კონვენცია არ გადაეცეს პარლამენტს რატიფიკაციისათვის, ვიდრე ძალაში არ შევა საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო საკითხთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გურამ ჯაფარიძემ, რომელიც პირადად მუშაობდა კონვენციის ტექსტზე, BGI-ის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ პარლამენტის მიერ დოკუმენტის რატიფიკაციაში ვერავითარ პრობლემას ვერ ხედავს.

# კაიფვორდი



**თარაზულად:** 5. ქსოვილი, რომელსაც კარგი „ვიდი" აქვს; 8. პატიმარი ფილმიდან, რომელსაც „ვეფხვს აძლევდნენ" (რუს.კავშ.); 10. „გავიანი" არაკი; 11. მოდების „უმი" ჩვენება; 13. „საქართველოს პრეზიდენტის მსგავსი" სასწრაფო სამედიცინო სამსახური; 14. პაპის გვირგვინი, რომელიც „უარზეა"; 15. სხვა სახელმწიფოსადმი გაგზავნილი „მუსიკალური" მიმართვა; 16. საგარეო საქმეებში „გაჩითული" ექიმი; 17. ბეჭედში ჩასასმელი ძვირფასი „კამა"; 20. პაპის „უნციობით" აწონილი ელჩიონი; 21. „ზაზორთან ნაპოვნი" ქალის სახელი „მგლის ბილიკში"; 24. ბოსტნეული, რომლის „ბოლოც გეთანხმება"; 26. ადამიანის დაულალავი ორგანო; 27. ძველი საქართველო, სადაც „ბერები ცხოვრობდნენ"; 30. საწყობის აუცილებელი ბინადარი; 31. მოულოდნელად დაბადებული ბიჭის სახელი; 33. მიცვალებულის „ადინოჩნი კამერა"; 35. „თავიანი" აზნაური; 36. სიგარეტის „ფილტვი"; 37. „ცომის მოსაზელი" უდაბნო.

**შვეულად:** 1. „საბას ინით შეღებილი" ჩოგბურთელი ქალი; 2. „ნესვების" კუნძული ხმელთაშუა ზღვაში (რუს.კავშ.); 3. „სატაკებელი" ბერძნული სიმღერა; 4. „ბატების" მაღაზია თბილისში; 5. ალბანეთის „დესპოტი" დედაქალაქი; 6. „იმპორტული" ცეედანი; 7. ხსნარი, რომელსაც შეყვარებულები ხშირად იყენებენ; 9. კასანდრას ძმაკაცი „მგლინავთა საამქროდან"; 12. ყველაზე „განაპირას" მდგომი ყოფილი რესპუბლიკებიდან (რუს.კავშ.); 18. „ეკლიანი" ფხალეული; 19. ტელევიზორისთვის საჭირო „ენის საწინააღმდეგო" საშუალება; 21. „ავთვისებიანი" ზოდიაქოს ნიშანი; 22. ფაშისტური დაზვერვა, რომელსაც „ენდობოდნენ" (რუს.კავშ.); 23. სასმელების დასადგამი „დაბლობი"; 25. „კუროების" დასასვენებელი ადგილი; 28. რუსების „რისხვა" ავღანეთში და ვიეტნამში; 29. ქალი, რომელმაც დილაობით ნახევარ საქართველოს დააწყებინა ვარჯიში; 30. ადამიანის „საჩვენებელი" ორგანო; 32. „ლიას" უბანი თბილისში; 34. ქართული „მტაცებელი" ავიაკომპანია.

აკაკი ცოტაძე

## წინა კაიფვორდის პასუხები

**თარაზულად:** 2. ალიანსი; 5. დათუნია; 10. ბიზონი; 11. ბედაური; 12. ცრუ; 13. ბერია; 14. ლავა; 16. იაქი; 18. განაბი; 20. ვირი; 22. აშარი; 24. გნოლი; 25. სარმა; 28. შენგელი; 29. ხელმწიფე; 32. მანდარინი; 34. და; 35. ქიშმიში; 36. ხელფასი; 39. ინდაური; 40. ფორმანდი; 41. კრიმინალი.

**შვეულად:** 1. მანეკენი; 3. ანი; 4. სიო; 6. ულაყი; 7. ალიენდე; 8. სიცილია; 9. ურუგვაი; 15. აზატი; 16. იზიდა; 17. ჰაშიში; 19. ბანკი; 21. კილერი; 23. რენო; 26. მაფია; 27. მენაბშირე; 30. მარქაფი; 31. პანტა; 33. ნახირი; 37. ლაზი; 38. ქინძი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444